



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნამუერი—15 კაპ.
 ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარათის ქუჩაზე, № 27.
 ტელეფონი № 734.
 ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.

შინაარსი: სასოფლო სამეურნეო კომიტეტები, ნ. კლავასა.—სერგეი მესხის ხსენება.—შინაური მიმდინარეობა.—სამუშაო ატრელების წესდება.—სხვა-და-სხვა ამბები.—კარესობა-დენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—ჩემი მეგობარი, ლექსი კ. გოგელაძისა.—ლექსი, სოფ. გ.—ქესა.—წერილი ზარიუიდან, სს.—დილაქტიკა და მეტაფიზიკა, თარგ. ა. ჩ.—ღისა.—ადამიანთა უფლებების დაცვა და ეროვნული სკიოთხი, თარგმ. ისისა.—ადამიანის უზინარი მტრები, ი. გ.—ღისა.—ჟურნალ-გასკეთებიდან.—სახუმარო გასართობი.—წერილები რედაქციის მიმართ.—საქველ-მთქმელ სექე.—განცხ.—

სისოფლო სამეურნეო კომიტეტები.

ახლო მომავალში თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში დაიწყებენ მოქმედებას საგუბერნიო სასოფლო სამეურნეო კომიტეტები, რომელთა დანიშნულებას სასოფლო სამეურნეო მრეწველობის აწინდელი მგომარეობის მიხედვით ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდონ ცნობები იმის შესახებ, თუ რა გზით და რა ზომებით უნდა გაუმჯობესდეს ამ მრეწველობის მდგომარეობა. ასეთივე კომიტეტები არის შედგენილი რუსეთის გუბერნიებშიც, მხოლოდ ჩვენ კომიტეტებსა და იქაურთა შორის ის განსხვავებაა, რომ იქ ერობათა წარმომადგენელნიც იღებენ მონაწილეობას, რომელნიც უფრო ახლო არიან სოფლის ცხოვრებასთან ვიდრე ჩვენი კომიტეტების წევრები, მაღალი მოხელენი. სოფელს აქ წარმომადგენენ მხოლოდ თავად-აზნაურთა წინამძღოლები, რომელთაგან ბევრი ძლიერ დაშორებულია სოფლის ცხოვრებას და ყოველ შემთხვევაში ვერ წარმოადგენენ სოფელთა უმრავლესობის ინტერესებს. ამავე კომიტეტების წევრები იქნებიან გარდა ხსენებულ პირთა ისინი, ვის მოწვევასაც საჭიროთ ცნობენ ადგილობრივი გუბერნატორები, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ეს მოწვეული პირებიც იმავე წრიდან იქნებიან, რომელსაც ეკუთვნიან წინამძღოლები და ამიტომ ნამდვილი სოფელი წარმოადგენელი დარჩება. სამწუხაროთ, ჩვენ ვერ ვიზიარებთ იმ იმედსაც, რომელიც აქვს ზოგიერთ გაზეთებს ჩვენი ინტელიგენტების, რომელნიც, შათი აზრით, გლეხთა ინტერესების წარმომადგენელნი უნდა შეიქნენ კომიტეტში. ამ უიმედობას გვეგვის ერთი მხრით ის მოსაზრება, რომ სხვისი ინტერესების წარმოდგენა და დაცვა მეტათ ძნელია საზოგადოთ, და მეორეს ისა, რომ ჩვენი ინტელიგენტების უმრავლესობა ძლიერ ნაკლებათ იცნობს ჩვენ სოფელს, თუმცა მას კი ეტრფის, და მოგებსენებათ, რომ საქმეში ცალიერი ტრფიალი არ კმარა; აქ ცოდნა და მომზადება საჭირო და სწორეთ ეს აკლიათ ჩვენ ინტელიგენტებს. ვისურვებთ კი, რომ ჩვენი უიმედობა არ გამართლებულიყოს, და ამ კომიტეტებს ესარგებლებიათო ამ

მარჯვე შემთხვევით და ისე დართოთ ფაეყენბიოსთ კითხვა, როგორც ეს ზოგიერთმა რუსეთის კომიტეტმა ქნა, და მთავარი ყურადღება მიექციოსთ საზოგადო პირობებზე, რადგან ყოველ დარგში ამათი მნიშვნელობაა უმთავრესი და გადამწყვეტი. ამ პირობების ზურგის აქცევა და წვრილმანების ჩაკარკიტება, ამ თავით მაინც, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენებს მკვლევართ, რომ ხეებს უკან ტყეს ვერ დაინახვენ და ამის გამო ვერც ცენტრალურ კომიტეტს გაუწევენ ჯეროვან სამსახურს.

უნდა ახსოვდეთ, რომ სოფლის მრეწველობაც იმავე პირობებისაგან არის დამოკიდებული, როგორც საქარხნო. აი, აქ უნდა ეძიონ მისი განვითარების შემაფერხებელი მიზეზები და ისინი უნდა აღნიშნონ. არ ვამბობთ, აიცილონ, თუ ააცილონ მწარმოებელთქო, რადგან ეს უმთავრესათ ცხოვრების განვითარების საქმეა და სწორეთ ამ განვითარების შემსუბუქებას უნდა მიექცეს ყურადღება.

მიუხედავით ამ ჩვენი უიმედობისა ვსარგებლობთ შემთხვევით და აქვე აღნიშნავთ ზოგიერთ desiderata-ს. ჩვენი სოფლის მთავარი შემაფერხებელი მიზეზი ჩვენი სიბნელე და სიბრმავეა. განსაკუთრებით იგრძნობება ეს თფილისის გუბერნიის საზოგადოთ და ქუთაისის განაპირა მაზრებში. ამ სიბნელესთან დაკავშირებულია ჩვენი კარჩაკეტილობა, პიროვნების და ადამიანის და მის უფლებათა შეუზღებლობა. ამ ჭირს თავი მხოლოდ ხალხში განათლების მეტანით მოეცლება და ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

ყოველი მრეწველობის იდეალი ის არის, რომ შრომის ნაყოფი თვით მწარმოებელს რჩებოდეს. ამ კითხვის დღეს დღეობით წამოყენება შეიძლება ნაადრევიც ეჩვენოს ვისმე ჩვენ განუვითარებელ სასოფლო მეურნეობაში, მაგრამ ეს იმდენათ სამართლიანი მოთხოვნა იღებება, რომ მისი დავიწყება შეუძლებელია. სხვა კითხვაა, როგორ შესძლებენ ამ კითხვის შეხედვას კომიტეტები, ან რა გზას დაადგებიან. სამწუხაროთ აქვე უნდა აღნიშნოთ, რომ თვით მწარმოებელიც ნაკლებათ

არის დაფიქრებული ამ საგანზე და ეს არის უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზიც.

ყოველ შემთხვევაში ის მინც არ უნდა დაიფიქრონ, თუ ძალიან არ გაუჭირდებათ ამის მოგონება, რომ მიწათმფლობელი და მიწათმოქმედი უფლებრივად მინც თანასწორ პირობებში იქნენ ჩაყენებული და შემდეგ ცხოვრებამ გაასწოროს მათი ეკონომიური უსწორობა. ხოლო ამ თავითვე უნდა მიექცეს ყურადღება მიწათმფლობელობის კითხვას მოწესრიგებას, ნამეტურ დროებით ვალდებულ გლახთა, ხაზანთა და ამ ბოლო ხანებში ნებით თუ უნებლიეთ გამრავლებულ მეთაურ გლახთა მდგომარეობას. უკანასკნელნი, რაც შეიძლება უფრო ნაკლებად უნდა იყონ დამოკიდებულნი მიწის მებატონეებზე და მათი ურთ-ერთი განწყობილება განსაზღვრულ უნდა იქნეს არა მარტო „თავისუფალი“ ხელშეკრულებით, არამედ კანონით. საჭიროა, გამოირკვეს საძოვრებითა და ტყით სარგებლობის უფლება-პირობები და არა ისე ყრუთ იქნეს დატოვებული, როგორც დღევანდელ „უსტაფნი გრამოტებშია“: „ტყითა და საძოვრით სარგებლობის პირობებს თვით დაადგენენ თავიანთ შორის მებატონე და გლეხები თავისუფალი შეთანხმებითა“ საიდან ექნება ადგილი თავისუფალ შეთანხმებას, როცა გლეხს ბატის და იხვის გასაშვები ადგილიც არ აქვს და თან ისე მჭიდროდ არის მიკრული თავის კარმიდამოს, რომ მახლობელი ქალაქიც არ უნახავს თვალთ! უნდა გამოირკვეს მიწის რაოდენობით დანაწილება მესაკუთრეთა შორის. ჩვენ ხელში არა გვაქვს საჭირო ციფრები, მაგრამ აპრობორულით შეიძლება ვთქვათ, რომ 33—35 წლის შემდეგ ბევრგან და გლეხობის დიდი უმრავლესობა მიწის ნაკლებობას განიცდის, უმცირესობა კი, დღევანდელი განვითარებითაც მეტათ კმაყოფილია. აი ესენი და სხვა ამისთანა კითხვები უნდა გაიჩინოს თავდაპირველად და იმის მიხედვით, თუ როგორ შეხედავენ ამათ, შეგვეძლება ვთქვათ, როგორ შეასრულეს თავიანთი მოვალეობა ჩვენმა კომიტეტებმა. ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა, კიდევ ვიმეორებთ, ექნება საერთო პირობების შეცვლას, სამოქმედო არესა და ასპარეზის გაფართოებას, და ეს უნდა იქმნეს მიღებული მხედველობაში.

ნ. ელიავა.

სმარგვი მესხის ხსოვნას.

გასულ კვირას, 21 ივლისს, შესრულდა ცხრამეტი წელიწადი ჩვენი საუკეთესო მოღვაწის სერგეი მესხის გარდაცვალებიდან. სერგეი მესხი ჩვენ მოღვაწეთა შორის ერთი იშვიათი და უბადლოთაგანია. მისი ხსოვნა ყოველი ქართველისათვის დიდი პატივსაცემია, როგორც უანგარო მოღვაწისა. რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე თავისი ერის გაცნობიერების საქმეს შეწირა და სულიც ამ მოღვაწეობაში დალია. მას ერთხელაც არ უღალატნია თავისი შეხედულებები მიმართულებისათვის და ის იძულებითი კავშირიც კი მალე უარყო, რომელიც მას ქონდა ძლიერ ცოტა ხანს ერთ ერთ ჩვენ დესპოტ-მოღვაწესთან. ყოველი მისი მოქმედება, ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი სტრიქონი საზოგადო ინტერესის ასეთი თუ ისეთი შეგნებიდან გადმომდინარეობდა. ჩვენ აქ არ შევუდგებით მისი მოღვაწეობის დაფასებას, რომელსაც შეიძლება რამე ნაკლიც ახლდა, არც იმას ვიტყვი, რომ განსაკუთრებული დიდი ნიჭის პატრონი ყოფილიყოს, მაგრამ იმის თქმა კი თავისუფლად შეგვიძლია, რომ ის იშვიათი პატიოსანებით და თავგამოდებით ემსახურებოდა საქმეს და დიდი ზნეობრივი გავლენაც ქონდა მის გაზეთს საზოგადოებაზე, რასაკვირველია რამდენათ ეს შესაძლებელი იყო ოცი წლის წინეთ. დღესაც მისი მოგონება ყოველი ახალგაზღვისთვის ზნეობრივად გამაფიქრებელი და გამამხნევებელია და ასეთი

კაცის ხსოვნა სწორედ არ არის დასაფიქრებელი. სერგეი მესხი იყო მწერალი-ჟურნალისტი, და როგორც ასეთის, მისი გაცნობა რასაკვირველია მისი ნაწერებიდან შეიძლება. საშუაზროთ, დღევანდელი ახალგაზღვობა მის ნაწერებს ნაკლებად იცნობს, რადგან ყველას არ შეუძლია და არ ეხერხება „დროების“ ნომრების გადაკითხვა. ამიტომ სიამოვნებით შეგვიძლია ვაუწყოთ ჩვენ მკითხველებს, რომ რამდენიმე ახალგაზღვას განუზრახავს მისი ნაწერების სრული კრებულის გამოცემა რამდენიმე წიგნათ მომავალ წლისათვის, როცა მისი გარდაცვალების ოცი წლის თავი იქნება.

ამ გამოცემას ორნაირი მნიშვნელობა ექნება: ის წარმოგვიდგენს ჩვენი მაშინდელი ცხოვრების სურათს და აღგვიდგენს ჩვენი საუკეთესო მოღვაწის სახეს.

შინაური მიმოხილვა

გასულ კვირას ადგილობრივ გაზეთებში დაბეჭდილი იყო ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსის განკარგულება, რომელშიაც ის შემდეგს აცხადებდა: „მრავლათ მომდის ხელმოუწერილი ბარათები, მაგრამ ვიმეორებ, ამისთანა ბარათებს მე არა ვკითხულობო. იცოდენ იმათ დამწერებმა, რომ არც მათ ბეზლობას ბოროტ მოქმედებათა შესახებ რკინის-გზებზე, არც მათ მუქარას მე ყურადღებას არ მივაქცევ. გულ-დამშვიდებით შევასრულებ კვლავაც ჩემ მოვალეობას. არავითარი მუქარა, თუნდა ბევრიც მიფიქრდეს, არ მაიძულებს ვუღალატო ამ მოვალეობას. რაც შეეხება დამნაშავეთა და უპატიოსნოთა დასჯას, მე კვლავ არ დავიშლი იმათ დასჯასა და დევნას, როგორც პირველ ბრძანებაშიაცა მქონდა მოხსენებული. იდუმალი საკანტროლო აგენტები კვლავ იმოქმედებენ და ვისაც შეამჩნევენ, რომ უბილეთო, მგზავრნი დაყავთ, იმ კონდუქტორებს სასტიკათ დაესჯი და სამსახურიდანაც დავითხოვ გამოუძიებლად, რადგან აგენტებთ არიან ყოველთა, პატიოსანი კაცები, რომელთაც ყოველივე დაეჯერებათო. ამისთანავე ვუცხადებ ყოველ იმ ხელ-ქვევითთ, რომელთაც ეს შეეხება, რომ ვაკონებში არ შეუშვან არც რისამე გამყიდველნი, არც შემოწირულებათა მომკრებნი და არც მათხოვარნი“.

ყოველივე ეს მეტათ პატიოსანი და სასიამოვნოა. მართლაც, რა მნიშვნელობა უნდა ექნეს რიგიანი უფროსის თვალში უსახელო ბეზლობას? ან რა გასაკვირველია უბილეთო მგზავრების ტარებისთვის კონდუქტორები დატუქსონ და სხვა. მხოლოდ საჭიროა, ამ ენერგიულმა უფროსმა ამ მოვლენათა მიზეზებსაც მიაქციოს ყურადღება და აქედან დაიწყოს საქმის მოგვარება. თვით ბ. უფროსმაც და სხვებმაც კარგათ იციან, რომ იმ მცირე გასამარჯელოთა ცხოვრება, რომელსაც ჩვენი გზების დაბალი მოხელენი იღებენ ძლიერ საძინელოა და აი ეს არის უმთავრესი მიზეზი იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომელსაც კონდუქტორები ჩადიან ხოლმე. მეორე მიზეზს თვით გზათა სამინისტრომ მიაქცია ყურადღება, რომელიც მგზავრთა ტარიფის სიძვირეში მდგომარეობს, და ცირკულიარული განკარგულება მოახდინა, მსრუფელთათვის მეოთხე კლასის ვაგონები მოაბან საქონლის მმტარებელს. ეს ზომა რამდენათმე შემოღებულია ჩვენ რკინის გზაზე და მოსალოდნელია „ბრუციანთა“ რიცხვი შემცირდება. არ მოგვწონს ბ. უფროსის განკარგულებიდან მხოლოდ ერთი ადგილი, საცა ის აცხადებს, რომ აგენტების მოხსენების თანახმად, ის საქმის გამოუძიებლად უქადის დათხოვნას მოსამსახურეთ. გეჯერა, რომ ეს აგენტები მართლა პატიოსანი და სანდონი არიან, მაგრამ რაც უნდა იყვენ მაინც ადამიანები არიან, ადამიანი კი მოსალოდნელია შეცდეს და აი სწორედ ამ შეცდომების აცილება შეუძლია გამოძიებას. ასე, საქმის დაყენების იმედს იძლეოდა ახალი უფროსის პირველი ბრძანებაც...

* *

„ცნობის ფურცლის“ № 1876-ში დაბეჭდილია ექიმის ტურიაშვილის მეტათ საყურადღებო წინადადება ქართველ ექიმებისადმი, რომლითაც ის ურჩევს უკანასკნელთ „საზოგადოებებს“ დაარსებას.

„ამ საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრათ ექნება: 1) ქართულ საექიმო უორნალის გამოცემა; თუ ეს შესაძლებელი არ იქნება, გამოცემა საზოგადოების ხარჯით სახალხოთ სამეცნიერო საექიმო წიგნებისა; 2) კერძო სამკურნალოების დაარსება, როგორც ქალაქებსა, ისე სოფლებში; 3) გზავნა ქართველ ახალგაზდა ექიმებისა საზოგადოების ხარჯით საზღვარ-გარეთ სპეციალიზაციისათვის; ეს ექიმები, დადებულ პირობისამებრ, ვალდებულნი იქნებიან ემსახურონ საზოგადოებას; 4) ქონებრივი დახმარება იმ ექიმებისა და იმათ ოჯახებისა, რომელთაც, რაიმე უბედურ შემთხვევის გამო, აღარ შეეძლებათ თავიანთი თავის შენახვა და გამოკვება“.

აი ასეთ მიზნებს უნდა ემსახუროს განზრახული საზოგადოება, თუ მისი დაარსება მოხერხდა. მისი საქიროება ყველასათვის აშკარაა, რა მხრითაც არ უნდა შეხედოს კაცმა, მით უმეტეს რომ ჩვენ საგუბერნიო ქალაქებში არსებული ექიმთა საზოგადოებები ვერ იჩენენ მოქმედების საკმაო ფხას. სასარგებლო იქნება ეს საზოგადოება ჩვენი მხრისათვის და კიდევ უფრო მეტათ თვით ექიმებისათვის.

ექიმებზე ჩვენსა და სხვა გაზეთებშიაც მკითხველი ხშირათ შეხედება სხვა და სხვა საყვედურებს, სხვათა შორის იმის შესახებაც, რომ ისინი გაუბრძიან სოფლებს. მაგრამ ასს რომ თხისკენ ვიტყვი ერთი მგლისკენაც უნდა ვთქვათ. ისიც მოსაგონებელია, რომ ძლიერ ცოტას ესმის ახალგაზდა ექიმთა გაჭირვება, მათი სულის კვეთება, რომელიც ისეთის ხელოვნებით დაგვიხატა რუსის მწერალ ექიმმა ვერესაევმა. ბევრი შეკდომა მოდის ახალგაზდა ექიმს, და ყოველი ამ შეტომათაგანი მეტათ ძვირათ უჯდება მის ზნეობრივ და სულიერ არსებას, სანამ „ცხოვრების გამოცდილებით გაიბრძნებოდეს“. თუ კი მომავალი საზოგადოება შეძლებს განზრახულ საზღვარ-გარეთის კამანდიროვკებს და რიგიანათ მომზადებულ ექიმებს მოაწვდის ხალხს, სხვას რომ ყველაფერს თავი დაგანებოთ, ესეც დიდი სამსახური იქნება. ჩვენში დღეს სპეციალისტი ექიმი ძლიერ იშვიათი მოვლენაა, მხოლოდ ქირურგია და სხვა ავთ მყოფებებია დაცილებული, თვით საექიმო მეცნიერება კი მეტათ ვრცელი დარგია და ამიტომაც არის რომ ჩვენმა ექიმებმა ყველაფერიც იციან და თან არაფერიც. დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე საზოგადოებას ამ პროფესიის კაცთა ეთიკის დაცვაში, რომლის შელახვის არა ერთი და ორი მაგალითი მოგვიწოდებია მკითხველებისათვის. მომავალი საზოგადოების აზრი უფრო დასაფასებელიც იქნება ყოველი წევრისათვის და ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ კრებული ყოველთვის მალლა დგას ზნეობით ცალკე წევრებზე. სხვა მუხლთა მნიშვნელობაც თავისთავათ აშკარაა და ვფიქრობთ, ჩვენი ექიმები გულწრფელი თანაგრძნობით მიეგვებებიან თავისი ამხანაგის წინადადებას, თუ გარეშე პირობებმა არ შეუშალათ ხელი.

* *

გასული კვირის მიმოხილვაში აღნიშნული იყო თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის წარმოებათა ზოგიერთ დარგთა მუნიციპალიზაციას. ამის მაგალითებს ყოველ-დღე შეხედება მკითხველი ჩვენ დღიურ გაზეთებში და სამწუხარო სწორეთ ის არის რომ ქალაქი დიდი სიფრთხილით დგება ამ გზაზე. თვით ხორცით ვაჭრობისთვის დიდხანს ემზადებოდა და დიდი ბოდიშით და მორიდებით გახსნა ორი ღუქანი. სამაგიერთო კერძო სავაჭროებში რას ვხედავთ! ხან ერთში, ხან მეორეში

ანიტარები აყროლებულ და გახრწნილს მძორს პოულტოებენ ხორცის ნაცვლათ, რომლითაც იკვებება რასაკვირველთა ქალაქის მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი. იგივე დაზარალებული მოქალაქე მიმართავს ქალაქის გამგეობას და მხოლოდ დიდი ხანს შემუშრეთა აღვირწახსნილობისაგან, რომელნიც სანახევროთ გაფუჭებულ ფქვილს ურევენ პურში, უმაღლესი ხარისხის ნაცვლათ უღაბლეს აჩეჩებენ და სხვ. და აი ამისთანა მაგალითების შემხედვარე ჩვენი თვითმართველობა სრულ უმოქმედობას იჩენს. მაგრამ რა მოვთხოვოთ მას და როგორ მოვთხოვოთ ვაჭრობა-მრეწველობის ხელის მოკიდება, როცა უძრავი ქონებაც კი ვერ შეუნახავთ და მხოლოთ დღეს შედგომია მათი რაოდენობის გამორკვევას. დიახ, აი ასეთი ნამოღვაწევით წარსდგებიან ჩვენი დღევანდელი „მამები“ ამრჩეველთა წინაშე შემოღგომის დასაწყისში და ვნახოთ როგორ დააფასებენ მათ ღვაწლს უკანასკნელნი.

მთავრობის განკარგულებანი

სამუშაო არტელების წესდება

(უმაღლესათ დაბჭიციებული 1 ივნისს 1902 გ.).

1. სამუშაო არტელათ ითვლება ამხანაგობა, რომელიც შედგა რომელიმე სამუშაოს ან მრეწველობის საწარმოებლათ და აგრეთვე რომელიმე სამსახურისა და თანამდებობის სასრულებლათ არტელის მონაწილეთა პირადი შრომითა, მათი საირთო ხარჯითა დი ურთიერთის თავდებობით.
2. სამუშაო არტელების დაარსება შეიძლება ან წესდების ძალით, ან აწ მომქმედ დადგენილებათა ძალით ხელშეკრულობით შესახებ.
3. წესდების ძალით დაარსებულ არტელებისათვის სავალდებულოა წესი ქვემოთ მუხლებში (4—27) დადგენილი.
4. არტელის წესდება უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლათ ადგილობრივ გუბერნატორს, ჯადაც არტელის გამგეობა იმყოფება. დამტკიცებული წესდება, გუბერნატორის განკარგულებისამებრ, გამოცხადდება ადგილობრივ საგუბერნიო უწყებაში.
5. თუ გუბერნატორმა, რომელიმე დაბრკოლების გამო, არ დაამტკიცა წესდება, ერთის თვის განმავლობაში წესდების მიღების შემდეგ, უნდა წარუდგინოს იგი ფინანსთა მინისტრს, რომელიც გადაწყვეტს საექვო საკითხებს სათანადო უწყებასთან შეთანხმებით.
6. დასამტკიცებლათ წარდგენილ არტელის წესდებაზე ხელი უნდა ქონდეს მოწერილი არტელის დამფუძნებელთ, არა ნაკლებ ხუთისა, და წესდებაში უნდა იყოს აღნიშნული:
 - ა) სახელწოდება, საგანი და ადგილი არტელის მოქმედებისა, ამასთანავე უნდა დანიშნული იყოს ვადა მოქმედებისა, თუ არტელი დროებით არსდება;
 - ბ) რა პირობით მიიღებიან წევრნი და შეგირდები, მათნი უფლებანი და მოვალეობანი, და აგრეთვე წესი თავის ნებით დათხოვისა და გამოარიცხვისა არტელიდან;
 - გ) რა პირობით, რა წესით და რამდენათ შემოღებულნი იქნება არტელში ქირით მუშაობა;
 - დ) რა წესით გადაეხთევიან წევრებს სასჯელი. ამასთანავე უნდა იყოს აღნიშნული უმაღლესი საზომი ფულის ჯარიმისა, რომელიც დაედება არტელის წევრს;
 - ე) რამდენათ აგებენ პასუხს არტელის წევრნი მის ვალდებულების ძალით, თუ ეს რაოდენობა განსაზღვრულია (მუხლი 19);
 - ვ) რომელს ვადაზე და რომელი სხვა პირობით მიეცემა არტელიდან დათხოვნილს ან გამოარიცხულ წევრებს არტელის მიერ ხვედრი ფული, აგრეთვე ვადა, რომლის გასვლამდი ხსენებულნი წევრნი პასუხს აგებენ, არტელის ვალ-

დებულების ძალით, თუ ამ პასუხის გებისათვის დადგენილი ვადა უმეტეს ერთის წლისა (მუხ. 22);

ბ) რა წესით შესდგება, ინახება და ინარჩუნება არტელის ფული;

გ) რა წესით შემოვა საწევრო ფული, რა წესით შეივსება არტელის ზარალი;

თ) რა წესით უნდა განეგოს არტელის საქმიები. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ამ გამგეობის შედგენა, მისი უფლებანი და მოვალეობანი და პირნი, რომელთაც უნდა შეადგინონ გამგეობა და პირობანი მათის არჩევისა. რა წესით უნდა წარმოებდეს სია არტელის მონაწილეთა და გამგეობის წევრთა, რა წესით სდგება განაჩენი საზოგადო კრებაზე და ვადა ამ კრების მოწვევისა;

ი) საერთო საფუძველნი ანგარიშის წარდგენისა და წესი არტელის საქმეთა ლიკვიდაციისა.

არტელის წესდებას შეიძლება ჩაერთოს სხვა დადგენილებაც, რომელიც კანონს არ ეწინააღმდეგება.

7. ფინანსთა მინისტრის მიერ, სათანადო უწყებებთან შეთანხმებით, შეიძლება გამოცემულ იქმნას სახელმძღვანელოთ სანიმუშო წესდება სხვა და სხვა გვარის სამუშაო არტელებისა;

8. ქესდების დამტკიცების შემდეგ არტელის წევრთა საზოგადო კრება სცნობს არტელს დაარსებულათ. ეს დადგენილება საზოგადო კრებისა უნდა ეცნობოს გუბერნატორს. ამ დადგენილების შემდეგ არტელი ითვისებს ყოველ უფლებას და მოვალეობას ამ წესდებით მინიჭებულს.

9. არტელის წევრათ შეიძლება იყვნენ ორავე სქესისანი, არა ნაკლებ 17-ს წლისა. არტელის წევრთა რიცხვი განუსაზღვრულია.

10. ჩვიდმეტ-ოც-და-ერთ წლისანი მიიღებიან არტელში იმ პირობის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია წესდებით, მხოლოდ არ ექნებათ მონაწილეობა არტელის საქმიების მართვაში.

11. წესი არტელის წევრთა მონაწილეობისა მის მუშაობაში საკუთარის შრომით განისაზღვრება ან წესდებით, ან წევრთა საზოგადო კრების მიერ.

12. არტელს შეუძლიან შეიძინოს ქონება, ნება აქვს ხელშეკრულობისა და ვალდებულების აღებისა; აქვს ნება აწარმოოს საქმიები და პასუხი აგოს სასამართლოებში. არტელს ნება ეძლევა ჰქონდეს სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი.

13. არტელს განაგებს მის წევრთა საზოგადო კრება, რომელიც ირჩევს საქმიების მართვისა და წარმოებისათვის საჭირო კაცებს. წესდებაში შეიძლება მოხსენებული იყოს არტელის წევრთა საზოგადო კრების მაგიერ რწმუნებულთა კრება.

14. საზოგადო კრებაზე ყველა წევრს აქვს ერთი ხმა. წევრს, რომელიც ვერ დაესწრება კრებას, შეუძლიან მიანდოს თავისი ხმა მხოლოდ არტელის წევრსავე, წესდების მიერ განსაზღვრულ პირობით.

15. საზოგადო კრება კანონიერათ ჩაითვლება, თუ დამსწრე წევრნი, პირადათ და მონდობილობით (მუხლი 14), არტელის წევრთა რიცხვის ნახევარს მანც შეადგენენ; ასეთს კრებაზე საქმიები ხმების უბრალო უმეტესობით გადაწყდება. არტელის წევრთა შორის მესამედის დასწრება, პირადათ და მონდობილობით, საჭიროა შემდგენის საქმიების გადასაწყვეტათ: ცვლილება ან დამატება წესდებისა, წევრის გამორიცხვა არტელიდან, არტელის მოხელეების გადაყენება მათის სამსახურის ვადის შესრულებამდე, ვადის აღება, არტელის გაუქმება და მისის საქმიების ლიკვიდაცია. ამ საქმიების შესახებ სა-

ზოგადო კრების დადგენილებას მხოლოდ მაშინ ექნება სავალდებულო ძალა, თუ იგი მიღებულ იქმნა დამსწრე წევრთა ორის მესამედისაგან. შეიძლება წესდებაში იწინადადებოდეს საზღვრული იყოს, შემოხსენებულთა გარდასხვა საქმიებში, რომელთა გადასაწყვეტათ აგრეთვე დამსწრე წევრთა ორის მესამედის უმრავლესობაა საჭირო.

16. საწევრო გადასახადი შეიტანება როგორც ფულათ, ისე არტელისათვის საჭირო ნივთებით.

17. საწევრო გადასახადი არტელის ყველა წევრთათვის ერთნაირი უნდა იყოს; ხოლო არტელის წევრთა შორის მოგების განაწილება უნდა მოხდეს საზოგადო კრების დადგენილებით, იმის კვალობაზე, თუ რაოდენ მონაწილეობას იღებდა თვითეული წევრი თავის პირადის შრომით არტელის სამუშაოში.

18. არტელი მთელი თავის ქონებით პასუხის მგებელია ნაკისრ ვალდებულებებში. აგრეთვე პასუხს აგებს, თუ არტელის წევრმა თავისი მოვალეობა რიგიანთ არ ასრულა და თუ არტელის წევრებმა ან მის დაქირავებულ კაცებმა ზარალი მიყენა არტელს მისსამუშაოში. გადახდილი ფული არტელს შეუძლიან აზღვევინოს იმათ, ვისიც წინდაუხედაობით ან ბრალით იზარალა.

19. თუ არტელის ქონება არ ყოფნის იმ ფულის გადასახდელათ, რომელიც არტელს მართებს, მაშინ მისმა წევრებმა, ურთიერთის თავდებობით, პასუხი უნდა აგონ ყოველის თავიანთის პირადის ქონებით, უძრავითა და მოძრავით, ან უსაზღვროთ ან იმ ზომამდე, რომელიც აღნიშნულია არტელის წესდებაში (მუხლი მე-9 პუნქტი ე.)

20. ურთიერთის თავდებობით პასუხის მგებლობა არტელის წევრთა შორის თანასწორათ განაწილდება, თუ წესდებაში არ არის ნაჩვენები საფუძველი შეთანასწორების განაწილებისათვის. თუ ერთმა ან რამდენიმე წევრმა ვერ გადაიხადეს თავიანთი ხვედრი ფული, ეგ გადასახადი იმავე რიგით უნდა განაწილდეს არტელის დანარჩენ წევრთა შორის; და იმ წევრებს, რომელთაც სხვა წევრების მაგიერ ფული გაიღეს, უფლება აქვთ იმათ მოსთხოვონ.

21. არტელში შემოსული წევრი პასუხს აგებს იმ ვალდებულებაშიაც, რომელიც არტელმა მის შემოსვლამდე იკისრა.

22. არტელის ქონება და თანხა არ მოხმარდება თვითეულის წევრის კერძო ვალის გასტუმრებას.

23. თვითეულის წევრის კერძო ვალის გასტუმრება შეიძლება იმ ხვედრიდან, რომელიც წევრსა აქვს არტელის მოგებაში; თუ ამასთანავე ასრულებული იქნება პირობა, მრეწველობის წესდების მე-100 მუხლით (კანონთა კრებული, ტ. XI, ნაწ. 2, გამოც. 1893 წ.) დადგენილი, მუშათა ხელფასიდან ვალის გასტუმრების შესახებ.

24. არტელის წევრს, რომელიც არ ასრულებს არტელის ნაკისრ ვალდებულებას, ან წესდებს, ან საზოგადო კრების დადგენილებას, სათაკლოთ მოიქცევა, ან მუშაობაში უგულობას გამოიჩინს, მიყენებულ ზარალისათვის პასუგის გების გარდა, შეიძლება წესდების მიერ დაწესებულის რიგით მიესაჯოს: გაკიცხვა, ჯარიმა და არტელიდან გამოორიცხვა დროებით, ან სამუდამით.

25. არტელიდან გასულს ან გამოორიცხულს წევრს, წესდების მიერ დანიშნულს ვადაზე მიეცემა მისი ხვედრი ფული; ამ ფულიდან გამოორიცხება, ჯეროვან შემთხვევაში, ის გადასახადი, რომელიც ამ წევრს აქვს და მისი წილი არტელის ზარალში. არტელიდან გასული ან გამოორიცხული წევრი ერთის წლის განმავლობაში, თუ წესდებაში უფრო ვრცელი ვადა არ არის დანიშნული, პასუხს აგებს არტელის ვალდებულებაში, რომელიც არტელმა იკისრა ამ წევრის გასვლამდე.

26. არტელი უქმდება: 1, თუ დანიშნული ვადა მის არსებობისა გავიდა; 2, თუ ის სამუშაო, რომლისთვისაც არტელი დაარსებულა, გათავდა; 3, თუ არტელის წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა გაუქმება და 4, გუბერნატორის ბრძანებით, როდესაც აღმოჩნდება, რომ არტელის მოქმედება თავის წესდებას არ ეთანხმება, ან არსებულს კანონებს ეწინააღმდეგება.

27. თუ არტელი გაუქმდა, მისი ქონება წევრთა შორის განაწილდება ან ისე მოიხმარება, როგორც წესდებაში იქნება მოხსენებული, ხოლო თუ წესდებაში ამის შესახებ მოხსენებული არა იქნება—რა, მაშინ საზოგადო კრებამ უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიხმაროს ქონება.

სხვა-და-სხვა ამბები.

თფილის ფაბრიკათა ინსპექტორმა დაათვალიერა თფილისის ქარხნები და ფაბრიკები და დაავალა იმათ პატრონებს 15 ენკენისთვიდან შემოიღონ საანგარიშო დავთრები მუშათათვის.

ქართულ-დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს სათავად-აზნაურთა თეატრის შენობის შეკეთების დროს სცენის გვერდით ერთი მოზრდილი ოთახი მოაწყოს განსაკუთრებით სცენაზე ახლათ გამოსულ ახალგაზდა არტისტებისთვის, სადაც მათთვის გაიმართება სკოლა სათეატრო ხელოვნებაში გასაწვრთნელათ და გასაეარჯიშებლათ. დრამატიულ საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს გამოძებნოს საშუალება, რითაც შეეძლოს მოწვევა მასწავლებლისა ახალგაზდა არტისტებისათვის.

ქვემო იმერეთიდან იწერებიან, რომ ამ ჟამათ იქ სიმინდის დიდი ნაკლებობაა. მჭადი ბევრს აკლია, ფუთი სიმინდი კი 80—90 კაპ. ფასობს.


ქართლში ვენახების მოსავალს დღემდინ კარგი პირი უჩნდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ბევრ ადგილს ნაკარი გაჩენილა და შიშობენ რომ მოსავალი ძლიერ დაიკლებს.

უწმ. სინოდს ცოტაოდენი ცვლილებით დაუქტიციებია საქართველოს სამრევლო-საეკლესიო შკოლათა საბჭოს მიერ შედგენილი გეგმა, თუ როგორ უნდა მოეწყოს სწავლა საქართველოს სამრევლო შკოლებში. ამ შკოლებში მომავალი სამოსწავლო წლიდან შემოღებული იქნება ოთხი წლის კურსი.

თავ. ზაქ. ერისთავის მიერ შეწირულ ოძისის მამულის დასამუშავებლათ და იქ საჭირო შენობათა ასაგებათ შარშან მიწათ-მოქმედების სასინდსტრომ გადადვა 5,000 მან.. ამ დღეებში სამინისტრომ შეატყობინა კავკასიაში თავის რწმუნებულს, რომ აღნიშნულ მამულში ზოგიერთ სამკშევრების დასამთავრებლათ გადაიდო წელსაც 5000 მან.

ქუთაისიდან გვწერენ: რამდენიმე თვის წინეთ ქუთაისის საურთიერთო კრედიტის ბანკს რევიზია უყო სამინისტროს მოხელემ. მაშინ ჩვენმა დღიურმა გაზეთებმა დიდი აღტაცებით აცნობეს ბანკს, რომ რევიზორმა ყველაფერი წესიერათ ნაწარმოებათ სცნო და კმაყოფილი დარჩაო. ახლა ამ ბანკის გამგეობამ მიიღო ამ რევიზორის ანგარიში, რომლის განხილვა-გარჩევისაც იგი შეუდგა კიდევ ბანკის საბჭოსთან ერთათ. ანგარიშს თავის შენიშვნებით გამგეობა წარუდგენს არა ჩვეულებრივ კრებას, რომელიც შემოდგომის დასაწყისში უნდა მოხდეს.

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ზოგიერთ ბანკის დაახლოვებულ პირებსაც არ აცნობენ ამ ანგარიშს. არაფერ იცის კი რატომ და რამიზეხით...



როგორც „კავკასი“ გადმოგვცემს, ამიერ კავკასიის რკინის გზის მართველობას განუზრახავს კერძო ჟურნალის გამოცემა: „კავკასიის რკინის გზათა მოამბე“.

კავკასიის მცირე-წლოვან დამნაშავეთა სამზრუნველოს განუზრახავს შეაკეთოს ავქალის თავშესაფარი და გაათართოვოს ახალშენი; ამისათვის სამზრუნველოს შუამდგომლობა აღუძრავს თფილისის ქალაქის გამგეობის წინაშე, გადმოგვეციო ქალაქის საბჭოს მიერ დანიშნული შემწეობა 1000 მანათიო.

როგორც ჩანს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან, შარშან კავკასიის ყველა გიმნაზიებში კურსი დაუმთავრებია 325 კაცს. მათგან შესულან: მათემატიკურ ფაკულტეტზე—106, საექიმოზე—85, იურიდიულზე—65, ფილოლოგიურზე—18, აღმოსავლეთ ენებ-საზე—4, ტექნოლოგიურ ინსტიტუტში—23, სამთოში—8, გზათა ინსტიტუტში—5, ხელოვნების აკადემიაში—2, საადმშენებლო სასწავლებელში—1, ხოლო 8 კაცი ჯერ არსად შესულა.

თანახმათ თფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, თფ. საქალაქო გამგეობას გადაუწყვეტია, ახლავე შეუდგეს თფილისის ქალაქის თვითმართველობის ყველა დადგენილებათა შეგროვებას და ერთ კრებულათ დაბეჭდვას. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაევალა ს. თ. ჭრელაშვილს; გადაიდვა სულ 1000 მან.

უმადლესმა მთავრობამ დაამტკიცა დარკვეთიდან საჩხერემდე გასაყვანი რკინის გზის ასაშენებელი საქირო ხარჯი. ამ საქმისთვის გადადებულია 282,200 მანათი.

ქალაქის გამგეობას გუბერნატორისთვის წარუდგენია ელექტრონის ტრამვაის პროექტი, რომელიც თვით გამგეობის მიერ უკვე მოწონებულია.

როგორც „ივერიას“ ატყობინებენ თელავში სამარხი კასსა დაუარსებიათ, იმავე ტიპის როგორიც თფილისში დაარსეს ამას წინეთ.

მთავარმართებლის სტამბის გამგე თხოულობს განსაკუთრებული თანხა იქნეს გადადებული ამ სტამბაში მომუშავეთა შემწეობისათვის. განზრახვა აქვთ სხვათა შორის იმ ფულიდან უსარგებლო სესხი აძლიონ საჭიროების დროს ასოთ-ამწყობებს.

ბაქოში გ. ზ. ტალიევის საქსოვი ქარხანა აცხადებს, რომ მას ჭირდება მუშები და აგრეთვე ლებულობს შევირდებსაც.

გაზეთ „ივერიაში“ (№ 157) დაბეჭდილია წერილი მიუნხენის ლუდის ხდის აკადემიის სტუდენტის რაქდენ დათეშიძისა, რომელიც თხოვს ოსური და ფშაურ-ხევსურული ლუდის ხდის საქმის მკოდნეთ მის მიერ დაყენებულ კითხვებზე პასუხი მიცენ. ეს ცნობები ბ. დათეშიძეს ჭირდება მის, საეგზამენო შრომისათვის.

ქართველი დრამატიული საზოგადოება შედგომია განსვენებული დავით ერისთავის პიესების კრებულის ბეჭდვას.

ბ. აკაკის დაუსრულებია კრილოვის არაკების თარგმნა-გადმოკეთება. როგორც ვაგიგეთ ამ კრებულის გამოცემის უფლებას ავტორი უთმობს ქ. შ. წერაკიძის გამავრცელებელ საზოგადოებას მეტათ შეღავათიანი პირობებით.

კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სტატი-სტიკოსი ბ. გოგიჩაიშვილი უკვე შეუდგა გორის მაზრის შეს-სწავლას, თანახმათ საზოგადოების ბიუროს მონდობილობისა. მას უკვე დაუვლია სურამი და მისი მახლობელი სოფლები, ბაკურიანი, ქვიშხეთი და კიდევ ჩვიდმეტი სოფელი უნდა და-იაროს. სამწუხარო ისაა, რომ გლეხები ნამდვილ ცნობებს არ აძლევენ თურმე, რადგან გონიათ იგი სახელმწიფო მოხელეა და ეს ცნობები რამე ხარჯების დასადებათ უნდა.

კორესპონდენცია.

ბათუმი. საფხულობით ბათომში ვერაფერი სასარბილო საცხოვრებელია. ან გამუდმებული წვიმები გაბურქებენ თავს, რის შედეგია მეტის მეტი სინესტე, ან და უზომო სინესტეები, რომლებ-საც ადამიანის ჯანმრთელობისთვის ზიანის მეტი არა მოაქვს რა. მიტომაც არის, რომ ვისაც შეძლება და დრო ნებას აძლევს საგარ-გარეთ მიეშურება. რჩებიან აქ უმეტეს ნაწილათ მშრომელი ხალხი და წვრილი მოხელეები სხვა-და-სხვა დაწესებულებებში, რომლებაც ცხოვრების აუცილებელი კანონის ძალით იძულებულნი არიან ზამ-თარ-ზაფხულ გამუდმებულათ იშრომონ...

ქალაქის საბჭოს სსდამები, როგორც უფლებან, აქაც შეწყვე-ტილია აგრძელებადე, ვინაიდან სიცხე ცუდათ მოქმედებს „ქალაქის მამებზე“. ქალაქის რთული და მძიმე საქმეები კი მოფიქრებასა და ტვირის მოძრაობას თხოვლობენ და მოგვსენებათ სინესტეში ტვირით მუშაობა სახიფათოა და აი ამას კრიტიკებენ „ქალაქის მამებიც“.

გონების გასართობ დაწესებულებებს ხომ ეს ერთი ხანია ბა-თომელები მოკლებული ვართ. თუმცადა ჩვენმა მუნიციპალიტეტმა აღვიბოთ თეატრისა და სამკითხველთა შენობის აკება, მარა ამას ბედნიერი მოკვდება. ჩვენ კი დღეს დღეობით არც თეატრი გვაქვს (თუ შევძლებთ არ მივიღებთ რკინის თეატრს, რომელიც სამ-ზარეულოს უფრო გავს ვინე თეატრს) და არც სამკითხველო. ერთ-თათ ერთი სამკითხველო იყო და ისიც უმატრინობის გამო დაიხუ-რა. ახლა მკითხველი იკითხავს, რას შობიან ბათომელები, როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. აი როგორ. ვინც უზომო ცხოვრების თავიანთს მტკიცებდა კვირა უქმე დღეებში ეკასხანებში ადამებენ, სა-დაც შეეძრვიან ხარღსა და დომინას. დანარჩენები კი ქუჩა-ქუჩა და-დან და ამოქნარებენ. ამ ხანათ, ჩემო მკითხველო, შენ შეგიძლია-ისე იცხოვრო ბათომში, თუ შენ თითონ არ იწერ, გაზეთი ვერსად იშვო წასაკითხავათ, გარდა „ჩვენ. ვესტ.“ და მარტო ეს გაზე-თი თუ იკითხე, ხომ ფილმსოფისი გახდება!

ამისთანა ხირობებში წარმოდგენის ან კონცერტის გაგონებ-ადამიანს განუსაზღვრელ სიხარულს გვირის და ამიტომაც ბათომელები სიხარულით შეეგებენ, განუჩეკლათ ეროვნებისა, როცა ქუჩის ბოძზე განცხადება დაინახეს გაკრული, რომელიც ამცნობდა საზოგა-დოებს, რომ გამართული იქნება წარმოდგენა ქართული კონცერტით.

და მართლაც კვირას 21 ივლისს აქურმა სტენის მოყვარებ-მაგამართეს წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ქ. აზიანის სამ მოქ-მელებიანი კომედია „ფული და ხარისხი“. წარმოდგენის ხალხი ბლამით დაესწრო, მარა ვერ ვიტყვი, რომ მას კარგათ ჩაუვლეს. გვარაინათ შესრულეს თავიანთი როლები ქ-მა ავადოვისმა (სოფიოს როლი). ბ-მა თადაკვამი (ბაგრატის), ბ. კალანდარიშვილმა (ლევა-ნის) და კანდელაკმა (დავითის როლი). ვერ იყვენ თავიანთ ადაგას და-ძმა ხოლოლიკაშვილები. ბ-ნი ხოლოლიკაშვილი არტემას როლ-

ში მიხვრა-მოხვრით და ლახარაკის ინტონაციით ახალციხელ კონკლეს უფრო გვანდა ვინე ქალაქელ სომეხს.

დასასრულ იმდენა ახლათ შემდგარმა ქართული კონცერტის სა-სყვარელით ლიტარობით, ქართული სიმღერებით, რომლებიც საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება. კარგათ იმდენს: „აღსდგე გმირთ-გმირა“ „შეგვათ ხელადით ღვინო“ და „შავი შავი.“ მაღლობის დირსია ბ. საყვარელიც, რომ ასე მოკლე დროში ისე მოამზადა გუნდა, რომ სტენზე გამოიყვანა. ვუსურვოთ ახალ გუნდს გაუმჯობესობა და წინ სვლა.

რეზეპტი.

მ. ჭუთაიანი. (აქური რამე-რამე). როდესაც ჩვენ სა-მკითხველებში მოსიარულე მკითხველთა სიკებს უკვირდებით, ერთ ისეთს მოვლენას ვამჩნევთ, რომელიც სამწუხარო რომ არ იყოს, აწორეთ სასაცილო იქნებოდა. არც ერთს აქურ სამკითხველს: არც სახალხს (გაბრიელის სამკითხველო) და არც ქალაქისს, რომელთა მოსიარულე მკითხველთა რიცხვი წლიუ-რათ საშუალოთ 38,845 კაცს უდრის, არც ერთი ქალი, არც მან-დილასანი, არც შლიანასანი, არც ეავს. ამავე დროს თფილისის სამს სამკითხველს (წერ. კითხ. საზ. ანგარიშით) მხოლოდ 8670 მკითხველი ეავს, რომელთა შორის 545 ქალია, რაც უდრის მთე-ლი რიცხვის, 6,66%. საერთოთ მკითხველთა რიცხვით ქუთაისის თითქმის ხუთჯერ გაუსწრია თფილისისათვის, რაც შეეხება ქალებს, ესენი კი არამც თუ ექვს ნახევარ ზრცენტს—ერთ მეცდ-თვრა-მეტ ათასედსაც არ უდრის.

რით იზიდავს სამკითხველო მკითხველებს? უმთავრესათ ყურ-ნად-გაზეთებით, რომლებიც თვალუფრს ადევნებენ უფლებ-დღიურ ჭირ-ვარამს, იძიებს და არკვევს შეძლებისა და გვარათ—ცხოვრე-ბის ამა თუ იმ კითხვებს და ზრცეტიკულ შრომაში ჩამბულ უმრავ-ლესობას საშალებას აძლევს ცოტათ თუ ბევრათ მსოფლიო ვითა-რებას თვალუფრი ადევნოს. ასეთი მნიშვნელობა აქვს—სხვათა შო-რის ზრესს, ყურნად-გაზეთებს და მითი სამკითხველებსაც საზო-გადოთ უფლებან და განსაკუთრებით ჩვენში, სადაც კერძო ხირთა შორის ძლიერ მტირე ნაწი ზი იწერს გაზეთებს (რაც აინსნება უკ-ულტურობით და არა მარტო სიღარიბით) და მით უფრო სამწუხა-როა ჩვენ სამკითხველოებში ფენობრივადი ქალების აბსენტეიზმი. ეს მოვლენა სრულიად არ ეთანხმება დღევანდელ ემანსიპანტების ფრახებს.

წინააღმდეგ, იმის მჩვენებელია, რომ მათ ჯერ კიდევ არ გადაქცევიათ გონებრივი საზრდო მოთხოვნილებათ, ურმდო-სოდაც არც ერთს კულტურულ ადამიანს—არამც თუ მოელს სქესს—ცხოვრება არ შეუძლია. აქვე უნდა შევნიშნოთ—ძლიერ ცოტა უუ-რადლებას აქცევენ ჩვენ სამკითხველოებს მათი გამგე-ბატონებიც. მა-გალიათ ქალაქის სამკითხველო, რომელსაც ამ საფხულშიც კი დღეში 50—60 მკითხველი ეავს, გადებუღია მხოლოდ ხუთ სა-ათს, დიდის 10-ი ხათიდან საშუალოდ 1-ელ საათამდე და სადა-მოს 6-დან 8 საათამდე. ასე რომ სხენებულ მკითხველთა შორის ნახევარი ისე მიდის, რომ—არამც თუ წაკითხვას—რამდენიმე გა-ზეთის გადათვლიერებასაც კი ვერ ასწრებს.

წიგნებისა და ყურნად-გაზეთების საკინძაკათ სხენებული სამ-კითხველო წლიურათ 200 მანეთს ხარჯავს და ნახევარი ყურნად-გაზეთები—არამც თუ გასული წლის, 1900 წლისაც ჯერ კიდევ აუკინძაკო აქვთ, ნომრები დაკარგულია და სამკითხველს გამგეს ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ დაკარგული №-ბი გამოიწეროს.

გამოწერით ქუთაისის ქალაქის „მამებზე“ კი გამოიწერეს ფო-თიდან მდივანი, მაგრამ ხომ სედავთ, რომ არ მოუვიდათ, გვეტ-ყვის ვინე და ესეც მართალია. თუმცა ის მართალია, რომ ბ.ბ. ნ. კანდალაკმა. და ხმოსანმა გ. ქორქაშვილმა, რომელთაც წერილობით მონდობილება ქონდათ ვ. კანდალაკისკან: ყუთი დამიდგან საბჭოს მდივნის თანამდებობაზე, გვარაინი მოზრდილი სიცრუე გამოაც

ხვეს წყევანდელ გამგეობის არჩევნებზე. მათ თურმე არავითარი წერადობით მონღობილება არ ქონდათ და მათი კანდიდატი მხოლოდ იმიტომ იდგამდა უეთს, რომ სადღაც გაეგო მდივანს 300 მანეთს უმატებენ და რადგანაც ეს მომეტება აღარ მოხდა — ბ. ვ. კანდელაკი — უკვე ხმის უმრავლესობით არჩეული, შორაძან — აბასტუმნიდან იწერება: არ მსურს „მოღვაწეობა“. 300 მანეთისათვის კაცს უარი ათქმევენო, ეს ვერაფერი დარბაისლობას! სხვა რომ არაიყოს რა მარტო გ. ქორქაშვილას (რომელსაც ქუთაური კენჭობა გომნახიანები კი ანტერესებდა) ხათრისთვის უნდა მოემტებოთ; რაც მეორეთ არჩევნებო მანინ არ დაჭირდებოდათ და როგორც „ცნობ. ფურც.“-ის შესახებ-ამბე გვატყობინებს, ქუთაისის ისედაც მტირე რიცხვან გამგეობას ეხეკინისთვემდინ „უბრტოკოლოთ“ უთქვან არ დაჭირდებოდა.

ქალაქის გამგეობას თუ „უბრტოკოლოთ“ აწუხებს, მის სამწესო ქალაქს უგზავნიანთლობა კლავს და ეს უკველისფერი ხდება სულ „უბრტოკოლოთ“. მაგრამ დირს კი ამხე ღაზარაკი კორესხოდენტიი კი არა, კრუზის ზარბაზნებითაც ვერ შეარევე ქუთაისის „მამებს“.

Parole.

ს ჩიბათი. (გურია) დღეს ჩიბათის მცხოვრებლები სწორეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან. მათ ოჯახში დღეს ძლიერ ნაკლებია სიმინდი და ღვინო, რაც მცხოვრებლების უბრველეს სარჩოს შეადგენს. ხშირათ შესვლები ჩიბათში ისეთ გაჭირვებულ ოჯახს, რომელიც იკვებება ხილით. მაგ., მისხლიდან აღუდებენ ქაშის მგზავსს საჭმელს. აი ამ მისხლის წვენი იკვებება დღეს ბევრი ოჯახი ჩიბათში. უბედურება კიდევ იგია, რომ საყიდელ სიმინდს კაცი ვერსად ვერ შეუღობს. ფასი ფუთი სიმინდის ადის ექვს აბაზამდე.

სოფ. ჩიბათში დღეს ორი სამკითხველთა ზემო ჩიბათის სამკითხველთა მისცემია სადათას ძილს და მგონი გამოღვიძებსაც არც კი ფიქრობს. აკერ სამი თვეა, რაც სამკითხველთა დაკეტილია და შესაძლებელია რომ სურათს კი აეზარდოს სამკითხველთა გვერდებში მივარდნილობის გამო. მცხოვრებლები მუდამ ჩივიან სამკითხველთა გაუღებლობაზე. საჭიროა რომ სამკითხველთა გაღებულ იქნას და შით შეიტანონ ის წიგნები, რომლებიც შემოწირულია სამკითხველთა სასარგებლოთ სხვა და სხვა ზიანებიდან. მე ძლიერ მივიჩნის სად დაიკარგენ შემოწირული წიგნები, რომლებიც ადგილობრივ ღვდელს გადასცეს სამკითხველთა სასარგებლოთ! ჩვენ იმან არ უნდა შეგვაშინოს, რომ შემოწირული წიგნები ბევრი არ არის. „სულ არ არაობას ცალ-უღელს ხარი სჯობიაო“ იმის არ იყოს ჯერ ცოტათი დაგვიუფოთ დღეთ და შეტს დროებს მოგვეცემს. ჯერ სამკითხველთაში შევიტანოთ ის ცოტა შემოწირულია, რომელიც ხელში გვაქვს და მერმეთ შეტი ვგვადათ. კლიტე სამკითხველთაში ჯერ-ჯერობით გადაეცეს ადგილობრივ ვაჭრებს, რომლებიც სამკითხველთა კეთილდღეობაზე ძლიერ ცდილობენ და სამკითხველთა ორ სჯენზე მოშორებით არიან შეტი არა. სამაგიეროთ წინ მიდის ქვემო ჩიბათის სამკითხველთა საქმე. თუმც ჯერ-ჯერობით საქირაკებ სახლში არის სამკითხველთა მოთავსებული, მაგრამ არა უშავს. ადრე იქნება აკებული ახალი შენობაც.

სიმონ ჯორბენაძე.

ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

ივანლინი. ირლანდიის კითხვა, რომელიც ეროვნული სახით წარმომდგარი ავარაული კითხვაა და რომლის ასეთი ხასიათი დღეს უველასთვის ცხადია თან და თან მწვალებს და თითქმის უმაღლეს მწვერვალზეა მიხწეული. ამას იქით მხოლოდ ცეცხლი და მახვილია მოსალოდნელი, თუ ინგლისის მთავრობა დროზე არ მიეშველა საქ-

მეს და არ აიცილას ის დიდი უბედურება, რომელსაც ეს შეტყობა მოიტანს შედეგათ. ჯერჯერობით სამწესოროთ წყევანდელ მდივანდელ ბარტის სასესიოთ მიწათ მიფლობელთა მხარეს მხარეობს რაღათა ბარტის დიდმა ნაწილმა, როგორც მოგვსენებთ, გვერდი აუქცია ირლანდიის ჰომრულს, და ირლანდიელმა ნაციონალისტებმა თითქმის მარტო უნდა გაუმკლავდენ მადა გასხნილ ლენდ-ლორდებს და მათ მოკავშირე მთავრობას. თუ როგორ უჭერია თავი ინგლისის მთავრობას ამ საქმეში ამას ქვევით დავინახავთ. როცა ინგლისში კანსერვატორთა და იმპერიალისტთა კავშირმა ჩაიგდო სასკემპიფოს მართვა-გამგეობა და ირლანდიელებმა თავი განმარტოებულათ დაინახეს, მათი დათიშული ბარტიები გონს მოვიდნენ და ერთი ეროვნული ლიგა ანუ კავშირი შეადგინეს. ეს კავშირი შედგრათ შეუდგაკრის უფლებათა დაცვას და სასტიკი ომი გამოუცხდა მიწათ მიფლობელებს და მთავრობას, ხოლო ძალების მოსაკრებათ მათ გარდა ერთი მთავარ ორგანიზაციის მრავალი ბატარ-ბატარა ორგანიზაციებით მოვიხეს სამშობლო. ვინც მათ არ მიემხრო სასტიკი ბოიკოტი გამოუცხდა და მართლაც იმდენათ შეაწუხეს, რომ საჭირო შეიქნა მთავრობის ჩარევაც. მაგრამ ინგლისში ადმინისტრაციის უფლათ შემძლებელი არ არის, როგორც სხვაგან, იქ ადა მანის და მოქალაქის ზიარებება მანინ უზრუნველ უთფილია, უსამართლო ვერავის დასჯიან კანონის წინააღმდეგ. უფელმა ბატარა საქმე მოსამართლის ხელში უნდა გაიაროს და აი სწორეთ ეს სამართალი შეიქნა ხელის შემშლელი მიწათ მიფლობელთათვის. ამის გამო საჭირო შეიქნა ჩვეულებრივი წესების შეცვლა. გაბატონებულმა კლასმა ამასაც მიადწია, მაგრამ უფელი რეპრესია, ნამეტურ შეკნებულ ერში და ადამიანებში უფრო მძლავრ რეაქციას წინააღმდეგობას) იწვევს და ასეც მონთა ირლანდაში. დღეს ირლანდიის ნაციონალისტების მეთაურთა, რედმონდის, დილანის და სხვ. სიტყვა: „ასეთი მოზურობა სისხლს გამოიწვევსო“ მართლაც საშიშრო და სახიფათოა მთავრობისათვის, რადგან მათ ზურგს უმაგრებს მთელი ხალხი. ეს მეთაურები აფრთხილებენ მთავრობას, ურჩევენ მად შეუგვეტონ ლენდ-ლორდებს, თუ სისხლის ღვრამდი არ უნდათ საქმის მიფვნა, მაგრამ სამწესოროთ ჯერ მთავრობა ლენდ-ლორდების ურემტორილი მონა: ისე იქცევა, როგორც ამით მოსწონთ, და უკანასკნელმა კამათმა დაკვანახვა რომ ბევრი სისაძაგლე ჩუდენია მას ამ გზაზე მსვლელობის დროს, რაც საზოადო თვისება უველა გაბატონეული კლასის მორჩილი მთავრობისა, რადგან თვით მათი არსებობა ამ უსამართლობაზეა აკებული. ირლანდიელთა ორგანიზაციების საზიარდობით მიწათ მიფლობელთაც შეადგინეს წელს კავშირი (ტრესტი), რის წინააღმდეგი თვით ირლანდიელებსაც არაფერი ექნებოდათ, ორივე რომ თანასწორ ზიარობებში უთფილიყვენ ჩაყენებული, მაგრამ კანსხვაგვარც ის არის, რომ მიწათ მიფლობელთა კავშირის წევრები იმავე დროს თვით უმაღლესი მთავრობის მონელებიც არიან და ამ მდგომარეობით სარგებლობენ. მაკალიათ, ხსენებულ კავშირში შევიდა ორი „დიდებული“ სმიტ ბარსი და ლორდ კლანბორკი და ერთი კვირის შემდეგ ამ ვაჟბატონებმა ხელი მოაწერეს ირლანდაში გაძლიერებული დაცვის წესის შემდგების ბრძანებას, რომელიც მოქალაქეთა უფლების უარყოფაა. ეს ფაქტი გამოამუღავნა რედმონდმა და თავისი სიტყვა შემდეგით დააბოლოვა: „ირლანდაშიო, თქვა მან, დიდ მნიშვნელოვანი ბრძოლა არის მიწის დამუშავებულ გლეხთა და ამავე მიწისპატრონებ შორის. ნაციონალისტები ბრკესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ ამ დავაში მართებლობა სასესიოთ მიწათ მიფლობელთა მხარე დაიჭიროს და მათ ბრძანებას ემორჩილებას. განა შესაძლებელია ირლანდიელებმა ბარტივი სცენ იმ კანონს, რომელსაც შერრიდანები იცავენ?“ ეს შერრიდანია კი, როგორც უკვე გამოამკარავდა, იყო ერთი უფლათ სხე დაცემულია ზიარციის მოხელე, რომელსაც მთავრობა ჩინებს და ორდენებს უმატებდა, როგორც დანაშაულთა საუკეთესო გამხსნეველ-გამომძიებელს და ბოლოს აღმჩნდა, რომ უველა ის დანაშაულები, რომლის მომქმედნიც მან

და მისმა ამხანაგებმა აღმოაჩინეს მისი ჩავსებით და მოხერხებით იყვენ ჩადენილი. მან დაწვა ერთ ადგილას ზვინი, მეორე ადგილას მოკლავორი, მესამე, ან ძროხებისთვის კუდები დაჭრევიან და სხვა. და უკვლავ ეს ეგრეთ წოდებული აგრარული დანაშაულები თავს მოახვია ირლანდიელ გლეხებს და დასჯევიან კიდევ უმართლეთ სასამართლოებს. ასეთი საქციელი და ასეთი აკენტების ყოფა შემთხვევითი არ არის მართებლობისთვის, ამტკიცებდა რედმენდი. ზირ იქით ასეთი ხერხი დიდი ხანია ნაცადია ჩვენი მთავრობის მიერ და მაგალითიც მოიყვანა თუ როგორ შეუქნია ზოლიციის ერთ აკენტს აგრარული დანაშაული, 1887 წ. როდესაც მთავრობისთვის საჭირო შეიქნა ასეთი დანაშაული ხელზე დასხვევით (დახს, ასეთი შემთხვევებიც არის ცხოვრებაში, რომ მთავრობისთვის საჭიროა დანაშაული!) მან თავს დასცა ერთ ფერმას მძარცველები, რომელნიც მოყვანილი იყვენ ერთი შინის მიერ. მათ აქ ზოლიცია დახვდა, რომელთანაც დიდი შეტაკება მოუხდათ და ზოლიციის მოხელეც შემოაკვდათ. ბოლოს გამაჰკარავდა ამ საქმის სამდელი ვითარება, როგორც ზევით გვაქვს ნათქვამი, თვით რედმენდის წყალობით, რომელიც ბრადლებულთა ვეჭილი იყო იმ საქმეში. უკვლავ შეტი უურადლება აქ რედმენდმა იმ კარმეობას მიაქცია, რომ მთავრობა არასოდეს არ ახდენს ასეთ საქმეებში ვრცელ გამომიებას, რაც მისი ახრით იმას მოწმობს რომ თვით მთავრობას ეშინია სინამდვილის გამაჰკარავებისა, რადგან ასეთი სსშგალების ხმარება ჩვეულებრივი მისთვისა.

უფველი დესპოტიზმი, თქვა რედმენდმა, რომელსაც სურს ხალხი მისი სურვილის წინააღმდეგ დაიმორჩილდეს, იძულებულია დაემარცხოს ჯაშუშთა და აკენტ-წამქეხებულთა ბრბოს. ასე იქცევა სამინისტრო ირლანდიაში და იმიტომაც ძულს და ეხიზდება იგი ხალხს. არც დამშვიდდება ეს ხალხი, სანამ მიწასთან არ 'გასწორებს Dublin Castle-ს, სანამ არ განდევნის ჯაშუშთა, მბებუდართა, ცრუ მოწმეთა და წამქეხებულ აკენტთა ბრბოს!" და მთავრობა რედმენდმა ზალატში სიტყვა და მისი იმედი არ არის მოკლებული საფუძველს, რადგან ამ კითხვის ნიადაგი შეტათ მტკიცება და ასეთი თავგანწირული ბრძოლით უფველი მისწვეა შეიძლება...

ავსტრო-უნგრეთი. ავსტრიის მინისტრ ბრეზიდენტმა კერბერმა, როგორც იყო მოაკვარა იმპერიის მეორე ხსენვართან, უნგრეთთან, ხელშეკრულების საქმე, რომელიც ამდენი ხანია შეჩერებულია, ახლა ამ ხელშეკრულების გახლების სრული იმედი აქვს. ამ საქმეში მისთვის საჭირო იყო და არის ჯერ კიდევ, როგორც გერმანიელთა, ისე ჩეხების დახმარება, და ამიტომ ახლა ის იმის ცდაშია, რომ დროებით მანაც როგორმე მოარგოს ეს ამ ორი ერთგულების წარმომადგენლები. ამის მისახვევით მას შეუძლებელია ბირბებში, რომელთა უმთავრეს ზუნტებს შეადგენენ: ჩეხების ოფიციში ჩეხური ენის საადმინისტრაციო ენათ ცხოვა, ხოლო გერმანიელებს ამის სამაგიერათ ის აღუთქვამს ზრავის სეიმის ორ ნაწილათ — ჩეხურ და გერმანულ — გაყოფას, რომელთაც ორივეს თანასწორი უფლება ექნება თავიანთი ერთგულების შესახებ კითხვის გადაწყვეტაში. როგორც ჩეხური გაზეთების მიერ გამოთქმულ აზრიდან ჩანს, ჩეხები ამ ბირბებზე არ დათანხმდებიან, რადგან ამაში ისინი უკვე ხადენის დროს მოხებულნი და შემდეგ უსამართლოთ წართმეული უფლების დაბრუნებას ხედავენ.

იმვე ავსტრიაში ერთ შეტათ სეურადლებო მოვლენას აქვს ადგილი ამ უკანასკნელ ხანებში. იქურ სლავიანურ ბრფონციაში, კალიციაში, რუსიელი გლეხები შეტათ დაჩავრული არიან ზოლონი მიწა მფლობელებისაგან. მათი ცხოვრების უმთავრეს სასარს ამ მიწათმფლობელთა მიწებზე მუშაობა შეადგენს და ესენიც, როგორც უკვლავს, სარგებლობენ ამ გარემოებით, სულ მცირე ქირას აძლევენ სოფლის მუშა რუსიებს. ასე იყო საზოგადოთ და კიდევ უარესი დაემართათ ამ გლეხებს უკანასკნელ ხალებო მოსავლიან წლებში, როცა მუშის დიური ქირა უდრიდა 15—20—30 კრეიცერს, რაც ჩვენ ფულზე შეადგენს 30 კ. წელს კი მოსავლს შეტათ კარ-

გი ზირი უხანს და ამიტომ გლეხებმაც მოისურვეს და გაბედეს ისარგებლონ შემთხვევით. მათ წარუდგინეს თვისი მოთხოვნანი მიწათ-მფლობელებს და მუშაობა აკვიცეს. იქ სადაც მათ ადგილს სხვა მხრიდან მოიყვანეს მუშები ადგილობრივი გლეხები, ისინი უკვლავს სამუშაოზე; ამას მოყვას მათ შორის შეტაკება, ზოგან ჯარების ჩრევეც, მაგრამ საზოგადოთ გაფიცულთ უდიდის ბედი და ბევრ ადგილს მათ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებენ და შრომის ქირას უმატებენ. ამ მოძრაობამ შეტათ დიდი რაიონი დაიჭირა; და უკვლავსე საინტერესო ის არის, რომ ბევრგან თვით სოფლის მოხელენი და სამდვდელოება უწეობენ ხელს გაფიცულთ და ისეთი მაგალითებიც კი ყოფილა, რომ თვით ამ მოხელეებმა გარეკეს სამუშაოდან გლეხები. უფველივე ეს რასკვირველია იმას მოწმობს, რომ რუსინი-გლეხების გაჭირვება უკიდურესია და ასეთ გაჭირვებაში არიან არა მარტო ბოვანო „გლეხები“, რომელნიც მხოლოთ მოჯამაცირობით ირჩენენ თავს, არამედ ისინიც, რომელთაც შესაკურთვებს უძახიან და ამიტომ ესენიც მხურვალე მოხწილებას იღებენ ამ მოძრაობაში.

უკანასკნელი ცნობებით ეს მოძრაობა უფრო და უფრო ზოლიტიკურ ხასიათს იღებს და მიმართულია ზოლონი შლიანტის ახუ თავადა-ხსურობის წინააღმდეგ, მაგრამ აშკარაა, რაც უნდა ხასიათი მიიღოს ამ მოძრაობამ მისი სარხული და ნიადაგი ეკონომიურის და სეორეთ ეს არის მათი იმედი, რადგან უფველ ზრავაგანდაზე უკეთ შიშილი და გაჭირვება ჭრის ადამიანს კ.

სომეხთ მოყვარეთა კონგრესი ბრიუსელში. ბრიუსელში მოხდა ივლისის ბირველ რიცხვებში სომეხთ მოყვარეთა (არმიანოფილთა) ბირველი კონგრესი, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო განურჩევლათ მიმართულების და სარწმუნობისა. აქ თქვენ შეხვდებოდით უკიდურეს რადიკალებს და სოციალისტებს კლერიკალებისა და კონსერვატორების გვერდით და ეს საუკეთესო დამტკიცება იმისა, რომ ოსმალეთის სომეხთა მდგომარეობა უკიდურესობამდეა მისული: უფველ ბარტიები გრძობენ სომეხთა აუტანელ მდგომარეობას და სურთ შეუმსუბუქონ მწარე ხვედრი, რომელიც მათ არეუნა ბედმა ოსმალთა სახელმწიფოში. კონგრესმა აღნიშნა ოსმალეთის სომეხთა კითხვის დიდი მნიშვნელობა, მოიგონა ის უსამართლობა, რომელიც სომეხებს გადაწვდათ რამდენიმე წლის წინეთ და ისიც თუ როგორ მდგომარეობაში არიან დღეს, გაიხსენა ისიც თუ რა უსამართლო ბრალს ღებენ ოსმალეთის სომეხებს, როცა მათ ჩარჩების სახელით ნათლავენ, მაშინ როცა 90% გლეხი სომეხების მიწის მუშას წარმოადგენს და მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: სომეხთა კითხვის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოთ სომეხთში სრული ადმინისტრაციული ავტონომიის შემოღებით, მეორე რეზოლიუციაში კონგრესმა გამოთქვა თავისი ნიადაგება ამ ზომების შესახებ, რომელიც მიიღეს რუსეთმა და საფრანკეთმა სომეხების ბრფონციაში კონსულთა რიცხვის გამრავლებით და ასეთივე ზომებს თხოულობს სხვა სახელმწიფოთაგანაც. მესამე რეზოლიუციაში კონგრესი გამოთქვამს იმედს, რომ ევროპის უფველ გაზეთები ხელს შეუწეობენ კონგრესის მიზანს და ადგილს დაუთმობენ მუდმივი კომიტეტის მიერ მოწოდებულ ცნობებს. ამ რეზოლიუციას ქ. სვედინმა დასძინა: შემდეგ კონგრესზე გამომყავნდას და სამარცხვინო ბოძზე მივარათ ის გაზეთები, რომელნიც უარს იტყვიან ჩვენი ცნობების გამოქვეყნებაზე. ეს წინადადება მიღებულ იქნა. შემდეგი კონგრესი დაინიშნა ისევ ბრიუსელში საკანოთ და მოსალოდნელია, ზოგიერთი ჩვენი გაზეთის სახელიც ამოვიკითხოთ სამარცხვინო ბოძზე გაკრულთა სიაში, თუ ამის დირსთაც კი ცნეს...

რუსეთის ცხოვრება.

მკითხველებს ესომებათ, რომ უმადესი მთავრობის ბრძანებით ზეტერბურგის სამხედრო საქმიო აკადემიის სტუდენტებს დაევალოთ ზაფხულობით ჯარებში ყოფნა გასაწვრთნელათ. ახლა სატანტო ქალაქების გაზეთები იტყობინებიან ამ სტუდენტთა შესახებ ცნობებს,

რომელიც იარსებაში დაბნაკებულ გრენდერთა შესვე დივიზიის ზოლებში არიან. იარსებაში ჩასუფან სტუდენტები, რიცხვით 137, მათის 25-ს; ორი სავი დღის შემდეგ მიუღიათ ფინი და შედგომიან კიდევ სამხედრო ვარჯიშობასა და სწავლას. მათი დღე შემდეგათ არის განწილებული, როგორც იგივე გასეთები იტეობინებიან. დგებთან სტუდენტები 6 1/2 საათზე, 7 1/2-დან 10-მდე ვარჯიშობენ სამხედრო გიმნასტიკაში და სხვ. 12-ზე სდილობენ. საღამოს 5-დან 7-მდე კიდევ ვარჯიშობენ და ეცნობიან სამხედრო კანონებს, ბანაკის წესრიგს და სხვ. 8 საათზე ვახშობენ. 10 საათზე უველა დაწოლილი უნდა იქნეს და სანთლებიც გაქრან. ვახშამზე და სადილზე დარაზმული მიღიან, როგორც წესი მოითხოვენ. სადილის წინ ღოცვას უველა გადობენ ერთად, აგრეთვე ღოცულობენ დაწოლის წინ. გადობის მასწავლებელიცა უავთ. თავისუფალ დროს გასტარებლათ მათთვის აქვთ გასეთები და სხვა და სხვა სათამაშოები.

— ხარკოვის დროებით კომისიაში, რომელიც დაარსდა თანხმით ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებისა, იმ ხარაღის გამოსაკვლევათ, რომელიც ამ გუბერნიის შემამულებთ მოუფიდათ გლეხების არეულობის, დროს, შემამულებთ შეუტანიათ თხოვნა, რომელთა მიხედვით მათი ხარაღი უნდა უდრიდეს 461000 მანათზე მეტს. შემდეგ კომისიის განჩევისა ეს თხოვნები დაკმაყოფილებულ იქნება იმ 800000 მან, რომელიც ხაზინამ ამ საქმისათვის გადასდო და რომელსაც უკანასკნელი ამ გუბერნიის გლეხებიდან დაიბრუნებენ მომავალ წლებში.

— თანხმით შინაგან საქმეთა მინისტრის მხსენებათა მინისტრთა კომიტეტმა მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა დამტკიცა რომ 1) გაგრძელებულ იქნეს სავი წლის ვადით 1881 წლის გადღიერებული დაცვის დებულების მოქმედება. 2) გაგრძელებულ იქნეს 26 ივნის 1901 წელს ზოგიერთ გუბერნიებში და ადგილებში შემოღებული გადღიერებული დაცვის დებულების მოქმედება ერთი წლით 1902 წლის 4 სექტემბრიდან. 3) ამავე ვადით გამოცხადდეს გადღიერებული დაცვის წესი კრივორფსკი მანებში გრანტოვის ზავადში ხერხინის გუბ. აგრეთვე სტანიც გნილოვსკაიაში და ზასტუნოვის რკინის ზავადში დონის ოლქში და ქ. ბათომში. 4) გამოცხადდეს ნიუნი ნოვგოროდის იარაღის დროს იგივე წესი ამ ქალაქის მსახდურე ოთხ მარაში: ნიუგოროდის, სემენოვსკი, ბალანინსკი და გორბატოვსკი. 5) სავი ეს წესები არ არის შემოღებული იქ უნდა მოქმედებდენ მუხლები 28, 29, 30, 31 სსხელმწიფე წეს-რიგის და საზოგადო მშვიდობიანობის დაცვისა.

— მსხეოვის უნივერსიტეტი ებრავლათ სტუდენტების მიდგება განსახდურულია ორი ზოცენტიით.

— სავი ავვისტოს ძალში შევიდა ახალი ტარიფი რკინის გზებზე. ეს ტარიფი მეოთხე კლასის მგზავრებს შეეხება. თითო მგზავრს, ამ ტარიფით, ერთ ვერსში გადახთება 3/4 კაპეიკი.

— „კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია, რომ აწ არსებულ წესის შესაცვლელათ და დასამტკიცებლათ დადგენილ იქნა: სასწავლებლების უფროსებს ნება აქვთ იშუამდგომდნენ, რომ მსწავლებლებს სწავლის დასამთავრებლათ იმ ვადის გარდა, რომელიც სამხედრო ბეკარის წესდებაშია აღნიშნული, დამატებითი ვადა მიეცეთ ზოღმე. ეს შუამდგომლობანი უნდა გადაწვეიტოს შინაგან საქმეთა მინისტრმა იმ სამინისტროსთან შეთანხმებით, რომელსაც სასწავლებელი ემორჩილება.

— ფინანსთა მინისტრმა ცირკულარი გამოცა სახალხო სიფიზლის სამხრუნველებების საგუბერნიო კომიტეტთა მიმართ. მინისტრი ამ ცირკულარით, რომელშიაც ნათქვამია, რომ სამხრუნველებთან ერთად სახალხო სიფიზლისათვის ზრუნავენ კერძო საზოგადოებანი, ქალაქისა და სერობო დაწესებულებანი, ავადებს კომიტეტების თავმჯდომარეებს, ეცადენ ქალაქის თვით-მართველობებში და სერობო დაწესებულებებში მეტი მხნეობა და მეტ-

დნეობა გამოიჩინონ სახალხო სიფიზლის საქმისათვის, დაარსდნ სახალხო აუდიტორები და თეატრები, უფრო წიგნთ-საცავები და სამკითხველოები, გამართონ წიგნის საწოებები, საკვანძო სტუდენტთა კითხვები, სკირნობანი და სხვანი. სამხრუნველებმა უნდა შექმნან წესებულებებსა და საზოგადოებებს, მინისტრის დავალებით, უნდა აღმოუჩინონ ქანებრივი და ზნეობრივი დახმარება.

ჩემი მეგობარი.

ვისაც ჩემებრ გული ეწვის,
ჩემებრ ცეცხლი ეკიდება,
ვინაც უხამით გაუღენთილსა
მძიმე უღელს ეზიდება;
ვისი ტანჯვით ჩემი გულიც,
ჩემი გრძობაც იღანჯება,
ვისი კენესა ზემ გოდებას
შეიგნებს და მიუზღდება;
ვინაც არის უღმობელის,
სასტიკ ბედის მომჩივარი,—
მას ვთვლი ჩემდა ამხანაგათ,
ის არს ჩემი მეგობარი!...

ვინც მიილტვის სიმართლისკენ
ბორკილების დასაღწათ,
და მის ხმები, ბრძოლის ხმები,
ცეცხლს ყრის ელვით, გრგვინავს მებათ!...

ვინც ატარებს ძმობის დროსა,
ეომება ბოროტებას,
ზნელსა აქრობს, იწვევს ქვეყნათ
სიმართლის და ძმობის მცნებას;
ვინც იბრძვის, რომ მოსპოს ტანჯვა,
მოსპოს კენესა, ცრემლის ღვარი,—
ის არს ჩემი სათაყვანო,
ის არს ჩემი მეგობარი!...

ბ. გოგოლაძე.

* * *

შენეთ ლაქვარდ ცისა კიდეს
რა საამოდ მოწმენდილა,
სამეჯლიშოთ მოკაშაშე
ოქროს სხივით მოქედლილა.
თითქოსა სურს, რომ წყვილიდი
სრულად მოსპოს, დაიმონოს,
დღეა-მიწას ხელი მიცეს
და გულ-მკერდში ჩაიკონოს.
რომ დანამოს აიაზით
მისი კალთა, არე-მარე,
შეება მიცეს დაჩაგრულსა
და წარბოცოს ცრემლი ცხარე.

შენეთ მიწაც როგორა თრთის,
რომ ენება შუქი ცისა,
სიხარული და ელფერი
დათამაშებს სამოთხისა.
თითქოსა სურს, რომ მოუღოს
ბოლო სრულათ ქვეყნის ცოდოს
და საშველათ, სამეგობროთ
ცას თავისთან მოუწოდოს,
შეინანოს სიბოროტე
მიწიერთა მონაქმელი
და მიუძღვნას ცრემლი ზეცას
დამაშვრალთა მონაწმელი.

სოლ. გ.—ქე.

წერილი პარიზიდან.

როგორც მკითხველმა იცის, საფრანგეთის სამინისტრომ მხოლოდ ტყავი გამოაცვალა, გული კი იგივეა. ვალდეკ-რუსოს მიერ დაწყებული საქმეები კომბემ უნდა განაგრძოს. ამ საქმეებში — ერთი, კონგრეგაციების შესახებ, მეტათ დიდ მნიშვნელოვანია. აუარებელი სიმდიდრის პატრონმა იეზუიტებმა თითქმის სრულიად ჩაიგდეს ხელში საქველ-მოქმედო საქმეებთან ერთად ყმაწვილების აღზრდა-განათლებაც. პარიზში ხშირათ შეხვედებით ქუჩაზე ან ბაღებში სალდათებივით დამწყვირებულ ვაჟებს, რომელთაც წინ მიუძღვის ლოცვანით ხელში იეზუიტი, ან ასევე მხედრულ წესზე მოსიერნე ქალებს, რომელთაც ჩასუქებული მონაზონი უდგას სათავეში და წელზე დაკიდებულ გრძელ გიშრის ჯვარცმან კრიალოსანს მიაჩნებენ. რომ ამ სკოლების გავლენა მოხარდ თაობაზე მეტის მეტი კონსერვატიული და ორღენელი პრინციპების ხელსაყრელი არ ყოფილიყო, არ შეგჭამოთ ჭირმა, ბურჟუაზული სამინისტრო მათ ხელსაც არ ახლებდა. მაგრამ როდესაც ასეთი რაზმებიდან თან და თან იჩეკებიან ისეთი მამულის შვილები, რომელთაც ათასი საფიქრებელი აუტეხეს 30 წლის რესპუბლიკის ბატონ-პატრონებს, როცა როიალისტ-კრელიკალების კავშირმა ისეთი შიში უჩვენა მთავრობას, რომ ამ უკანასკნელს სოციალისტების უმეტესი ნაწილიც კი მიეშველა და მერე როგორ მიეშველა!... მაშინ კი ვალდეკ-რუსომაც არც აცივა, არც აცხელა და კლერიკალების განადგურება მოისურვა. კანონ-პროექტი კონგრეგაციების შესახებ, დღემდე სისრულეში არ მოყვდათ. კლერიკალებიც ჯერ ჩუმათ იყვნენ, შედარებით რასაკვირველია, და ვინ იცის, იქნება იმედიც ქონდათ ეგებ აგვედეს თავიდან ასეთი უბედურება. მაგრამ კომბის სამინისტრო პირველათვე ამ კანონის სისრულეში მოყვანა შეუდგა. სიტყვა და საქმე ერთი იყო; და ამ ქამათ საფრანგეთში კონგრეგაციებს დიდი ჭრიჭინ-ჭრიჭინი გააქვთ.

როგორც კი გამოაცხადებულ იქნა ამ კანონის სისრულეში მოყვანა, იეზუიტები დაფაცურდნენ, შემოიხვიენ კაბა წელზე, მიატოვეს ლოცვანი და შეუდგნენ საუკეთესო საშვალებათა გამოცდას. ყველაზე უფრო კარგი საშვალება ხალხის თავის მხარეზე გადაბირებაა და ამ ხალხში ნამდვილი მომხრე იეზუიტებისა ხომ დედაკაცები არიან, უმეტეს ნაწილათ წვრილი ბურჟუაზიის და არისტოკრატების წრიდან. ეს ქალბატონებიც დატრიალდნენ თავისი შვილების საკეთილ-დღეობით, გაამზადეს ერთი პეტიცია და მიართვეს რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლეს, გვიშველეთ, ასეთ შვენიერ სკოლებს, სადაც საუცხოო თავდაბლობას, მორჩილებას და საუკეთესო სამშობლოს სიყვარულს ასწავლიან, ნუ მოგვისპობენო. ქ. ლუბე პრეზიდენტი ლუბეს ცოლი გახლავთ და ისე მოიქცა, როგორც მის მეუღლეს მოეწონებოდა. „თქვენ პეტიციას შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცემა“ — უპასუ ა. კონგრეგაციების მოტრფილეთ ბანკეტები გააჩაღეს მთავრობისთვის პროტესტის გამოსაცხადებლათ. იეზუიტებმა მიმართეს, რა თქმა უნდა, რომის პაპს, რომელმაც ისეთი რისხვით მიმართა საფრანგეთის მთავრობას, რომ მორწმუნენი სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ. ამ ნაირათ მოახლოვდა კლერიკალების ფარფარების შესუსტების წუთი (რთავრობა უცხადებს პრეფექტის იეზუიტების მიერ საქველ-მოქმედო დაწესებულებებს ხელი არ ახლოთო) და მათ მიერ უხვათ ჩაყრილმა ოქრო-ვერცხლმა წყალს ამღვრია. მაგრამ ბადეობა ხომ ამღვრეულ წყალში სჯობს, და აი როიალისტებმა ჩამოიღეს გამხმარი და ობ-მ-ი-კიდებული ბადეები. იმ პირთ, ვინც საფრანგეთის დენგრეულ ტანტისაკენ თვალი უჭირავთ, როდის მოვქობხავ და დაგბრძანდებიო, კანონით აკრძალული აქვთ საფრანგეთის ტერიტორიაზე ფეხის დადგმა. ორღენელმა პრინცმა კი სხვა ხერხს

მიმართა და ერთ შვენიერ კვირას გამოგზავნა პარიზში თავისი „ქენინა“. მისი ბრწყინვალეობა დიდი ამბით მიიღო Sacré-Coeur-ის მონასტრის საღვდლოებამ, მისთვის გააღეს დიდი კარები (portail) და შიგ ეკკლესიაში გაჩნდა დაესვენა, ისე თითქო 1789 წ. ჯერ არც კი დამდგარიყოსო. მოისინეს რა მესსა, პრინცესა და ძველი თავად-აზნაურობის წარმომადგენელი მონასტრის უფროსის წინამძღოლობით ნაშთების დასათვარიებლათ მიბრძანდნენ. მონასტრის გარემოში კარგად აღ ბრბოს მოეყარა თავი და „vive la duchesse d'Orléans“-ო ყვიროდა. ნაშუადღევს duchesse-ის გულის გასახარებლათ ას ორმოცდა ათამდე მონამ (მუშებმაო, ამბობს ერთი რადიკალური გაზეთი) მიართვეს მას ყვავილები კალათით და დიდბაზარზე მოვაჭრე დედაკაცებიც (des dames de la Halle) ოვაციებით დაუხვდნენ. გათავდა იმით, რომ პარიზელი როიალისტების კომიტეტები წარდგენ წინაშე მეუღლისა მბრძანებელისა მათისა და „ქენინის“ პარიზში მოსვლა დიდ პოლიტიკურ ფაქტათ აღიარეს. რასაკვირველია ისე არა წვიმს, როგორც ქუხს, მაგრამ პარიზი, ერთი რუსის პროფესორის არ იყოს, „სოციალოგიური ლაბორატორია“ და მისგან ბევრს რამეს უნდა მოელოდეს კაცი. თუ რეაქციის ქაპან-წყვეტამ უკვალათ ჩაიარა, ერთ შვენიერ დღეს შავი ყორნების გრძელი გროვა საფრანგეთის საზღვრებზე გადიარს. თუ სადმე დასაბუდედელი ადგილი იშოვა, რაც ძალიან საეკვია. მართალია. ბევრი ფრანგი ქალი იტირებს, მაგრამ რომ იცოდნენ, რომ არც ისე წამხდარა მათთვის დრო, რომ გაიხსენებდნენ, რომ თუ იეზუიტები წავიდნენ, მილიტარიზმი ხომ მათ შვილებს „კაცებათ“ გახდის, ისე აღარ წაიხდენდნენ საუცხოვო დახელოვნებით ამოყვანილ თვალებს და ყალბ თმებს...

№.

ღიალექტიკა და მითაფიზიკა

(თარგმანი გერმანულიდან).

თან და თანობით მე-XVIII-ტე საუკუნის საფრანგეთის ფილოსოფიასთან ერთათ ვითარდებოდა გერმანელების ახალი ფილოსოფია, რომელიც დამთავრდა გეგლით. „უმთავრესი მნიშვნელობა ამ ფილოსოფიისა მდგომარეობდა იმაში, რომ მან მიმართა უკვე დავიწყებულ დიალექტიკას, როგორც აზროვნების უმაღლეს ფორმას.

ძველი ბერძნების ფილოსოფოსნი ბუნებითად თანდაყოლილნი დიალექტიკები იყვნენ: მათ შორის თვით დიდებული არისტოტელი იკვლევდა ყოველ უმთავრეს ფორმებს დიალექტიკურ აზროვნებისას. ახალი ფილოსოფიაში კი, თუმცა დიალექტიკას ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენელი ყავდა, როგორც იყვნენ დეკარტი და სპინოზა, მაგრამ იგი (ფილოსოფია) ვერ აცდა მეტაფიზიკურ გზას. ასეთი მიმართულება ფილოსოფიაში უმთავრესათ ინგლისის ფილოსოფიის გავლენით დამკვიდრდა. მე-XVIII-ტე საუკუნის ფრანგებიც მოყვნენ ამ საზოგადო მოძრაობაში, განსაკუთრებით სპეციალურ-ფილოსოფიურ ნაწარმოებში. მაგრამ არა ფილოსოფიურ ნაწარმოებში ფრანგებმა შექმნეს ზოგიერთი ნიმუშები დიალექტიკისა. ამ აზრის დასამტკიცებლათ საკმაოა დავასახელოთ: „რამოს ძმის წული“ დიდროსი და „უთანასწორობის წარმოდგომა ადამიათა შორის“ რუსოსი. ჩვენ აქ დავახასიათოთ მოკლეთ ეს ორი მეთოდი აზროვნებისა.

თუ გულ-დასმით დავაკვირდებით ბუნებას, კაცობრიობის ისტორიას, ანუ თვით ჩვენ სულიერ მოქმედებას, შევამჩნევთ ერთს გაუთავებელ ნასკვს, რომლის ნაწილები ერთმანეთზე გადახლართულ-გადმოხლართულნი არიან, ვამჩნევთ მათ შორის დამოკიდებულებას — ურთიერთ ზედმოქმედებას; აქ მუდმივი ცვალებადობაა ადგილისა, შინაარსისა, — ერთი სიტ-


ყვით, ყოველივე მოძრაობს, სხვაფერდება, ჩნდება და ქრება. პირველათ ჩვენ ვხედავთ საერთო სურათს, რომელიც დაწვრილებით აუხსნელია ჩვენთვის; ჩვენ ვაქცევთ დიდ ყურადღებას თვით მოძრაობას, როგორ გადადის ერთი საგანი მეორეზე, მათ გაერთიანებას. ამავე დროს ჩვენ ნაკლებათ ვფიქრობთ იმაზე, თუ რა მოძრაობს, რა გადადის, ან უერთდება. ასეთი შემეცნება მსოფლიოზე (мировоззрение) თავის თავათ სამართლიანია. ძველი ბერძნების ფილოსოფოსნი, თუმცა გულუბრყვილოთ, მაგრამ მაინც ამ აზრისანი იყვნენ. ეს შემეცნება პირველათ გარკვევით გამოთქვა, ჰერაკლიტემ: მისი აზრით ყოველივე ერთ და იმავე დროს არსებობს და არ არსებობს, რადგანაც ყველაფერი მამდინარეობს, ყოველთვის იცვლება, ჩნდება და ქრება. მაგრამ ეს შემეცნება, რაც უნდა სწორათ გვიხატავდეს საერთო ხასიათს მოვლენათა მთელი სურათისას, მაინც ვერ იკვლევს ნაწილებს, რომელთაგან შედგება თვით ეს სურათი, — უამისოთ-კი შეუძლებელია მთელი სურათის ჯეროვნათ ახსნა. თუ გვინდა შევიგნოთ ყოველი ამ ნაწილების დანიშნულება, საჭიროა განვაკრძოვოთ ისინი ბუნებითი და ისტორიული კავშირისაგან, ე. ი. განვათავისუფლოთ მათი გავლენისაგან და ამ გვარათ გამოვიკვლიოთ თვისებანი, მიზეზნი, ზედმოქმედებანი თვითოეული მათგანის. მაგრამ ყოველივე ეს არის საგანი ბუნების მეტყველებისა და ისტორიული გამოკვლევისა, მხოლოთ ეს დარგნი მეცნიერებისა, როგორც მოსალოდნელი იყო, თათქმის უმნიშვნელოთ იყვნენ დატოვებულნი კლასიკური დროის ბერძნებისაგან. ეს გარემოება ყველაზე უფრო აიხსნება მისაღების უქონლობით. კრიტიკული კვლევა-ძიება, შედარება, მერე დანაწილება კლასებათ, რიგ-რიგათ, მოდგმებათ, — ყოველივე ამათ მაშინ ექნებოდა ადგილი, როდესაც საკმაოთ მოგროვდა ბუნების მეტყველება-ზედ დამყარებული მეცნიერულ-ისტორიული მასალები. ბუნების კვლევა-ძიება იქნა ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული ალექსანდრიის ხანაში ბერძნებისაგან, *) აქედან-კი განვითარდა საშუალო საუკუნოებში არაბებისაგან. ნამდვილი თანამედროვე ბუნების მეტყველება იწყება მე-XV-ტე საუკუნის მეორე ნახევარიდან. ამ დროიდან ის თან-და-თან ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. დაყოფა ბუნებისა ცალ-ცალკე ნაწილებათ, ჯგუფ-ჯგუფათ განსაზღვრა (კლასიფიკაცია) ბუნების მოვლენათა და საგნებისა, განხილვა შინაგანი თვისებათა ორგანიული ნივთიერებათა, ყველა ამათ ამ უკანასკნელ ოთხი საუკუნის განმავლობაში დიდათ განავითარეს ბუნების მეტყველების ასპარეზი. მაგრამ მეორე მხრით, თვითონ ამ გარემოებამ გამოიწვია ჩვენში ჩვეულება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ ვაკვირდებით ბუნების მოვლენათ და საგნებს განყენებულათ, თითქოს ისინი არ ექვემდებარებოდენ ერთ საერთო კავშირს, ვსახვთ არა მოძრავათ, არამედ ერთ ადგილას გაყინულათ, არ ვაწერთ მათ მუდმივ ცვალებადობას, ერთი სატყვით, ვსახვთ მკვდრებათ და არა ცოცხლობათ. რადგანაც ეს მეთოდი კვლევა ძიებისა ბეკონისაგან და ლოკისაგან ბუნების მეტყველებიდან ფილოსოფიაში იქნა გადატანილი. ამიტომ დაფუძნდა უკანასკნელ საუკუნოებში სივიწროვე აზრისა-მეტაფიზიკური აზროვნება.

მეტაფიზიკისათვის ნივთიერებანი და მათი აღბეჭდვა გონებაში ე. ი. შეგნება, — არის განყენებული რამე, უცვლელი, დამოუკიდებელი ერთმანეთზე, ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული. მეტაფიზიკოსი აფუძნებს თავის აზრს მოვლენათა წინამდებლობაზე; ის მსჯელობს; ჰო-ჰო, არა-არა, ამის გარდა მას არაფერი სწამს. მისთვის ნივთი არსებობს, ან არ არ-

სებობს, მას არ შეუძლია წარმოიდგინოს ერთი და იგივე საგანი ორ ნაირათ. დასკენითი აზრი (положительное) მუდამ ეწინააღმდეგება უკუთქმითს (отрицательное) და სწორედ ამ უკუთქმითობა მიზეზსა და შედეგ შორის. ამ განსაკუთრებულ პირველი შეხედვით სრულიად სამართლიანი გვეგონია, რადგანაც ეთანხმება ჩვენ შეხედულობას; ამიტომაც ოჯახში ოთხ-კედელს შუა ეს კეთილ-გონიერული აზრი სასარგებლოა, მხოლოთ როდესაც შევუდგებით შორეულ საგნების კვლევა ძიებას, ის კარგავს ყოველ ძალას, სწორეთ ამგვარათ მეტაფიზიკების მსოფლიური შემეცნება თუმცა საჭიროც და ჭეშმარიტიც არის ზოგიერთ შემთხვევაში, მაგრამ ადრე თუ გვიან წააწყდება საზღვარს, რომლის იქით მას ებნევა გზა-კვალი აზრთა წინააღმდეგობაში, ხდება ცალ-მხრივი, ერთხელვე განსაზღვრული, აბსტრაქტიულოთ. აზრის ასეთი არე-დარევა აიხსნება იმითი, რომ მეტაფიზიკოსება, როდესაც ნივთიერებას განცალკევებულათ ხედავენ, იგოწყებენ მათ შორის კავშირს: საგნის არსებობასთან ვერ ამჩნევენ, როგორ ჩნდება ერთი, როგორ ქრება მეორე; უძრობასთან (სიწყნარესთან) — მოძრაობას; ხეებთან — ტყეს. ცხოვრებაში ჩვენ შეგვიწვლია და ჭეშმარიტებით ეთქვათ, არსებობს ცხოველი თუ არა; მაგრამ თუ მეცნიერულათ გვინდა ამისი გამოკვლევა, ძლიერ გავვიკირდება რომელიმე ერთი აზრის ჯეროვნათ დამტკიცება. ეს კარგათ ესმისთ იურისტებს, როდესაც ამტკიცებენ, რომ ბავშვის მოკვლა დედის მუცელში იგივე მკვლელობააო. აგრეთვე შეუძლებელია განისაზღვროს მომენტი სიკვდილისა, რადგანაც როგორც გვარწმუნებს ფიზიოლოგია, სიკვდილი უცაბედი აქტი არ არის, არამედ ძლიერ ნელი პროცესია. ყოველი ორგანიული არსება ერთ და იმავე დროს არის ის და მასთან სხვაც, ის ყოველ წუთში გადაქმნის ხოლმე გარედან შეთვისებულ ნივთიერებას, თვით ამავე დროს მას შორდება სხვა ნივთიერება; ყოველ წუთში კვდებიან ერთი უჯრედნი (клетки), მის მაგიერ ჩნდებიან სხვანი ახალნი. ამგვარათ მთელი აგებულების შემდგენელი ნივთიერება ახლდება, ერთი ნივთიერების ატომი უთმობს თავის ადგილს მეორეს, — კიდევაც ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თვითოეული ორგანიული არსება არის ის და თვით იმ დროს სხვაც. თუ მეცნიერულათ გამოვიკვლევთ ბუნებას, ჩვენ ვხედავთ, რომ ორი წინააღმდეგი პოლიუსი დამტკიცებითი და უკუთქმითი იმდენათ განუყოფელნი არიან, რამდენათაც ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს; მიუხედავთ იმისა რომ ისინი წარმოადგენენ ორ წინააღმდეგობას, გადადიან ერთი მეორეში. ესევე შეიძლება ითქვას მიზეზსა და შედეგის შესახებ: თვითოეულ მათგანს მხოლოთ მაშინ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, როდესაც ვაწერთ მათ რომელიმე განკრძოვებულ შემთხვევას. მაგრამ როდესაც წარმოვიდგენთ განკრძოვებულ შემთხვევებს მსოფლიო მსვლელობასთან ერთათ. მიზეზი და შედეგი კარგვენ პირვანდელ მნიშვნელობას, იფანტებიან სადღაც ბურუსში. სადაც მუდმივ ცვლილებისაგან ცდიან, გადადიან ერთი მეორეზე: მიზეზი შედეგათ იქცევა ხოლმე, შედეგი — მიზეზათ.

ყველა ეს ვერ ეტყვა მეტაფიზიკის ვიწრო ჩარჩოში. დიალექტიკისათვის კი, რომელიც იკვლევს ყოველ ნივთიერებას და მათ აღბეჭდვას გონებაში მსოფლიო მსვლელობასთან ერთათ, თანახმათ მათი ერთმანეთან მუდმივი დამოკიდებულებისა, მოძრაობისა, წარმოშობა-გაქრობისა, — მზავსი პროცესები (რომელნიც ზევით არიან მოყვანილნი), მხოლოთ მისი (დიალექტიკის) მეთოდის სისწორეს ამტკიცებენ. დიალექტიკა ბუნებაში ემებს თავის მეთოდის საბუთიანობას, ამ ცდაში მას დიდი სამსახური გაუწვია ბუნების მეტყველებამ: მან მოაგროვა ძვირფასი და მრავალი მასალები, რომელთა შემწეობით დაამტკიცა, რომ ყოველივე ბუნებაში — მის უკანასკნელი სა-

*) „Начуц. Общ.“-ს რედაქტორი არ ეთანხმება ამ აზრს, საპუთათ თუავეს არისტოტელი და თეოფრასტე.



ფეხურამდე ხდება დიალექტიკურად და არა მეტაფიზიკურად, რომ ბუნება არ მოძრაობს ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრულ ფარგალში, არამედ მას აქვს ნამდვილი ისტორია.

აქ ყველაზე წინ დავასახელოთ დარწმინდა, რომელიმაც თავზარი დასცა მეტაფიზიკურ შეხედულებას ბუნებაზე, მან დაამტკიცა, რომ მთელი თანამედროვე ბუნება, მცენარე და ცხოველი, აქედან აღამიანიც არიან ნაყოფი განვითარების პროცესისა, რომელიც ხდება საუკუნოების განმავლობაში. ახლაც შეგვილია გადავიკითხოთ ყველა ბუნების მეტყველები, რომელნიც ხელმძღვანელობენ დიალექტიკით; მხოლოდ ამ გზით მოპოებული მასალები სრულიად ეწინააღმდეგებიან მეტაფიზიკურ აზროვნებას. ამ გარემოებით აიხსნება ის არევა-დარევა აზრებისა, რომელიც სუფევდა ბუნების მეტყველების თეორეტიკულ ლიტერატურაში, და მით სასაოწარკვეთილებას ეძლევიან როგორც მასწავლებელნი, აგრეთვე მოსწავლენი; როგორც მწერლები, აგრეთვე მკითხველები.

ა. ჩ. ლი

(დასასრული იქნება)

აღამიანთა უფლებების დაცვა და ეროვნული საკითხი.

„მაგონდება ის ადგილი ცნობილ პუბლიცისტ კატკოვის მოწინავე წერილისა, რომელიც მას შემდეგი სიტყვებით აქვს დაწვრილებული: „მთავრება მადისა“. ჩვენც სსსმართლში უფელ დეკკესმის სსსმართლს ბაქაულისაგან: „აბრძანდით ბატონებო, მსსმართლენი მადისა“. მადელა დაგვიდგება ის დეკ, რომ გლეხებს უთხრათ: „წამოდექი, მშობილო, ზიჯვარი გადაისხე, კანონი მადისა“-ა?..

ეს სიტყვები ცნობილი ავტორის „Записки земскаго начальника“-სი ბ. ნოვიკოვისა¹⁾ საცარის სიღსადით გვიხატვენ ხალხის შეგნებულებაში უკვე მომწიფებულ აზრს, რომ მიუხედავად სსსმართლსა სოფლის ცხოვრებაში შეტანა და გაბატონება პირუთენელ უფლებათა პრინციპებისა და განდევნა მმართველ (გაბატონებულ) პირთა პირადულ ნებაყოფლობისა და სურვილებისა. ხალხი მშვიდ-მწუხურვადივით ელის კანონების დამყარებას, რასაკვირველია, ასეთი მშვიდ-მწუხურვადობა არ ეკუთნის კანონის მხოლოდ ფორმალურ მხარეს.

უფელ ეჭვს გარეშეა, რომ უფლება და მისი ზირდაზირი მოქმედება არის ძირითადი ზირება უფელ სახელმწიფო ორგანიზმის ჯანმრთელობისა. დეკანდელ ცხოვრების ზირებებში შთანერვვა ხალხში და მმართველობის დაბალ ორგანოებში კანონისადმი ხამდვილ ზატვისცემის უკვეკლათ ზირველი ამოცანათაგანია თითუფელ საღმარაგანე ზოღემიკური ზრგრამის შექმნ ზარტიისათვის. მარ კანონის მწუხურვადი მკვიდრი მასში ეტებს არა მარტო საზომს (норма) თვისი მოქმედებისათვის, არა მხოლოდ ობიექტიურ უფლებას, არამედ, გრდა ამისა და უმთავრესათ მას თვითმოქმედების და სუბიექტიურ უფლებათა შექმნა წუურა. მათ ეჭირვებათ არა განეკებული უფლება და არა უფელგვარ შინაარს მოკლებული განეკებული „უფლებრიობა“ (правомѣрность), არამედ კანკრეტული, ცხოვრებაში გამოსადეგი უფლებანი. „უფლებრიობასა და კანონიერებას“ აღამიანი არა მარტო მისი შინაგანი დირსებით აფასებს, არამედ იმითაც, რომ ხალხის რეალურ საუფლებრიო ცხოვრებაში იმათ ეძლევათ გარკვეული შინაარსი, რაც შეადგენს აღამიანის ზირგნების და მთელ საზოგადოებრივ ჯგუფებისათვის მეტათ საფასურ „უფლებებს“.

1) ეს ნოვიკოვი ერთი პროგრესიულ-ლიბერალური პრაკტიკული მოღვაწეა რუსეთის ერობათა ცხოვრებაში. იგი ამავე დროს საუკეთესო პროგრესიული პუბლიცისტიცაა რუსეთის ლიტერატურაში და საღის თვალთ უურეს რუსეთის დეკანდელ ცხოვრების საკითხებს. დღეს დღობით იგი კავკასიაში სამოღვაწეო მოწვეული ბაქოს ქალაქის თავია.

მთარა

საქმე ისაა, რომ უფელგვარი მიწერილობა და უფელგვარი აღკრდაღვა, რა შინაარსისად უნდა იყოს იგი შეიძლება გამოატურე იქმნას კანონის ფორმაში და ასე ამ რიგათ განდექი, უფლებრიობაში ამიტომაცაა, რომ ფორმალური კანონიერობა, თუ შექმნილი იქნება წარმოადგენს კულტურის უდიდეს დირებულებას, მარა იგი მინც კიდევ საკმარისი არაა ხალხისათვის, რომელიც საჭიროებს კანონის არა მარტო ზრინციზიადურ დაცვას და ნებაყოფლობის განდევნას, არამედ უწინარეს უფელისა, მისთვის (საღისათვის) საჭიროა, რომ კანონები თვისი შინაარსით ზასუსს აძლევენ მათ სუფიერ და ნიუთიერ საკითხებზე და აკმაყოფილებდენ იმათ ინტერესებს. სხვანაირათ რომ ვთქვათ, უფლებრივი წესრიგი ფასობს არა მარტო იმით, რომ იგი გვიხატავს ძლევა-მოსილებას ობიექტიურის და მიუდგომეღის უფლებების, არამედ მითაც, რომ ამ ობიექტიურ და არა ზირგნულ უფლებათა გაბატონების წყალობით უზრუნველდება აღამიანთა ზირგნების ინტერესები, რაც ამ უფლებებშია გამოსატურელი. არა მარტო „უფლება“, არამედ „უფლებანი“ უნდა ეწეროს ჭეშმარიტ კანონიერობის და უფლებრიობის შეგობართა დროშასზე.

ეს ელემენტარული, უბრალო აზრები დღესაც კიდევ არ არიან საკმარისათ ჩანერგული იმ განათლებულ საზოგადოების შეგნებულებაში, სიადანაც იკრებება, გამოდის მმართველი ბიურკრატია, რომელიც სშირათ ასე შედიღურებს კანონიერობისადმი ზატვისცემით. სშირათ ავაწვდებათ, რომ ჭეშმარიტი ზატვისცემა ხალხისა კანონისადმი განუერვლათ დაკავშირებულა მის (კანონის) გარკვეულ შინაარსზე. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ კანონისადმი ზატვისცემა უფრო ცხოველი იქ არის, საღაც კანონიც თავისდარიგათ ყველაზე მომეტებულათ არის განმსჯეალული აღამიანი ზირგნების და მისი ინტერესების ზატვისცემით. ინგლისელთა გრძნობა კანონიერობისადმი იკვებება და იზრდება ინგლისის ეფელს ბების სრული შინაარსით, ინგლისის მოქალაქის სუბიექტიურ უფლებათა სისრულით.

აი ამიტომაცაა, რომ უფელ ისინი, ვინც აღამიანთა უფლებების ჭეშმარიტი გულშემატკივარია ცნებას „კანონიერობა“ მისი გარეგნული, ფორმალურა მხრით როდი მარტვენ.

გლეხს რომ საუფუკელი ჭქანდეს კანონის წინაშე „ზირგვარის“ გამოსახვისა, საჭიროა, რომ „კანონი“ ნუფემს სცემდეს მას არა მარტო თავისი ფორმით, არამედ, შინაარსითაც, რო კანონი მას ხელს არ უკრავდეს, თავისუფლებას უფართოებდეს, ე. ი. ამოღლებდეს მის ზირგნებას, ანიჭებდეს მას „უფლებებს“.

რუსეთის საუკეთესო ზირთა შეგნებულებში და ხალხთა ჯგუფების ცხოვრებაში კაი ხანია მომწიფათ უდიდესი მოთხოვნილება იმისა, რომ ობიექტიურმა უფლებამ უფელმსრივ აღიაროს აღამიანთა უფლებანი, როგორათაც იმას მისი ზირგნების დაცვა მოითხოვს. ეს ის დიადი იღვალური და ამავე დროს რეალური ისტორიული ამი ცნაა, რომელიც, ზოღას, შემდეგ დიდიხის თრგვარიული ამი ცნაა, რომელიც, ზოღას, მიუცილებელი კუთნილება აღამიანთა მთელი მოზრგნე ნაწილისა, და ეს გამოშუქება ხდება ისეთის სიღსადით და გულის სიღრმეშდე ნგრძნობ მოფლებნათ, როგორც შესამცვე წლებში გლეხთა განთავისუფლების იღვამ მოიღვა მთელი რუსეთის საუკეთესო შვილთა გრძნობა-განება...

მრავალ საუკუნოების რუსეთის ისტორიამ შექმნა ისეთი თავისებური და ძლიერი ერგნება, რომლის მეღვარი ცხოვრება და არსებობა ავალებს, საგონებელს ყოფს რუსეთის საუკეთესო აღამიანთ კი არ ჩაყლაპონ და მოსპონ გარეგნულათ, თუ შინაგნურათ უფრო უღონო ეროგნებანი, არამედ, ზირიკით, აღზარდონ და გაავრცელონ უფართოესი გრძნობა ყოველ ეროგნებისადმი თავაზიანობისა და ნუფემცემლობისა. რუსე-

თის კრიტიკული დაჯილდოებით მდიდარი და მჭიდრო კნით, რომლის სსშ-სთვის მან შექმნა დიდი კრებული კულტურის. კრებულის და მისი სუბიექტული გამოხატულება—ლიტერატურის კვლით იზრდება და უმჯობესდება კარგად—ჩვენის თქმით—სახელმწიფოს ტენიკური ძალა; იზრდება ნივთიერება რეკონსტრუქციის და იარაღების (ჯარი, ფინანსები) ობიექტიურ უფლებათა რთული სისტემა და რთული ბიურკრატიული (ინფორმაციული) მექანიზმი, რომელიც თვისი ტენიკური გამომუშავებულობით და სიდიდით უახლესად დასავლური კერძობის სამკალოდ უფლებრივ და სსხე-მწიფო კულტურას. ¹⁾

მარტო მსხვილი სახელმწიფო მექანიზმის შემწობით და მისი დასაბუთებით, კრში რაც უფრო და უფრო გრძობდა კულტურული ძალები, რაც უფრო და უფრო რთულდება კრებულის ცხოვრება ფიქციონების კულტურულ-სულიერი განწყობილებანი რუსეთის ხალხისა, რაც უფრო იზრდება ზიანებს, — მით ნაკლებათ გამოსადეგი ხდება კულტურულ მინისათვის ობიექტიური სისტემა უფლებებისა და დაუნიებით სჭირდა წინ წამოყენება დაცვა ადამიანის ქვემარტ უფლებისა.

ერთა შორის მჭიდროება ხდება არა მარტო და იმდენათ სხვადასხვადას ველზე, სხვადას უმთავრესათ მჭიდროება ადამიანთა მთელი ჯგუფები. საეროვნო ძალები კიდევ უფრო მშვიდობიან შრომის და კულტურულ წარმატების მიხედვით იზომებიან; აქ კი რაც უფრო პიროვნებას მოკლებულია ბრბო, რაც უფრო ნაკლებია მის წევრებში ინდივიდუალური მხეობა, გრძობა პიროვნულ პასუხის მგებლობისა და პატიოსნებისადმი (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), რაც უფრო ნაკლები გამოცდილება და გამოცენება აქვს თვით მოქმედებისადმი, ნაკლებ უყვარს უფლებათა დაცვა და ნაკლებ განმსჯელობა მათი შექმნის და სარგებლობის სურვილით, — მით უფრო მოელის ერს და ეროვნულ კულტურას უკან საფეხურზე ჩამორჩენა, დაბეჩავება-დაუძლურება მისი სულიერი და ნივთიერი ძლიერებისა.

ჩვენ არ წინასწარმეტყველებთ და ხელოთ მცხელათ არ ვრაცნთ ჩვენი ქვეყნის მომავალს. მხნეთ შემუშრე მომავლისა, ჩვენ ვხედავთ მისში შეუდრეკელ მჭიდროებას დიად ისტორიულ ძალებისას, რომლებსაც არც მოტუილება შეიძლება და არც გზიდან გადგუნა. ვისაც ღირს შესანიშნავ ამოცანად საეროვნო ცხოვრებისა მიანიხი შეთვისება სამრეწველო ტენიკისა და შექმნა სრული ობიექტიური უფლებისა, რომელსაც ცხოვრებაში სამკალოდ მომხმადებელი ბიურკრატია გაატარებს, და განია, რომ ზიანების უფლებები „მცდურ დასავლეთის ნაყოფია, რომ ისინი ობიექტიურათ სჭირდანი არ არიან, რომ რუსეთის კულტურას უმთავრესად კარგათ შეუძლია წინსვლა, — იგი ისეთი ცნებით იკვებება, რომელიც მართლად რომ დამდუბული იქნებოდა და რუსეთს ზიანს სული კლდისაკენ შეჩერებინებდა, ხოლო ზურგს ვრცობისაკენ. არავითარი ტენიკა და არავითარი ობიექტიური განწყობილებული უფლება სამართლისა არ არიან დიად განვითარების გზაზე შემდგარ და კრებულ კართულებულ თანამედროვე რუსეთის კულტურისათვის. რაც უფრო მეტია ამ კულტურაში თავნახეა და დამალული ძალები, რაც უფრო მეტია მისში ცხოვრება და დიადი მომავლის ნიშნები, მით უფრო განხორციელებას მოკლებულია ის აზრი, ვითომც შესაძლო იყოს ამ მდიდარ კრებულ ცხოვრების ერთ წინასწარ დადგენილ კალანტში ჩაუქება და მიმდინარეობა, რაც სრულიად სპობს ფართო ნიადაგზე ინდივიდუალურ შემოქმედების განვითარებას და ჯგუფებრივ მოქმედებას...

P. S. ამ თარგმნილ წერილის გამო მკითხველს შემდეგ №-ში მოველაზარაკებით.

¹⁾ იხ. ცნობილი ფილოსოფია რუსეთის სახელმწიფო განვითარებისა. ნ. მ. კორკუნიკისა: „Русское государственное право“ ტ. I, მე 3-ე გამოცემა, გვერდი 204—213-ი.



IX.

ქართული

ჩვენი მიზანი იყო, გადმოგვეცა მკითხველსა მკითხველთა რიგების ბიოლოგია, ფიზიოლოგია და მათი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობაში. ჩვენ ვცდილობდით, მკითხველისათვის შეგვეტყობინებია მხოლოდ ის, რაც ცოტათ თუ ბევრათ გამოურკვევია მეცნიერებას დღემდის; რაც შეეხება დეტალებს და სხვა და სხვა ჰიპოტეტიურ აზრებს, რომლებიც ჯერ მეცნიერების კუთვნილებას არ შეადგენენ, ყოველივე ესენი მხოლოდ სპეციალისტისათვის არის საყურადღებო და არა მკითხველისათვის; ამიტომ ჩვენც გამოვტოვეთ. მკითხველი უძველესია დარწმუნდება, რომ ჩვენ უმთავრესათ ის ბაქტერიები გვექონდა მხედველობაში, რომლებიც ადამიანის მტრები არიან. ვინც ჩვენი წერილიდან იმ დასკვნას გამოიტანს, ვითომ ბაქტერიები, როგორც კერძოთ ადამიანის ცხოვრებაში ისე საზოგადოთ მთელი ქვეყნიური ცხოვრების ეკონომიაში ზარალის მეტს არას აკეთებდენ, შემტოარი იქნება. დასავლეთ ევროპის მეურნეობაში ბაქტერიების მნიშვნელობა დღითი დღე ძლიერდება. ბაქტერიების შემწობით იქ უკვე ანოციერებენ ნიადაგს; ეს საქმე ჯერ სრულიად ახალია, მაგრამ ამ მოკლე დრომაც დაანახვა ყველას, რომ ბაქტერიებით მიწის განოციერებას ბრწყინვალე მომავალი აქვს. არიან ისეთი ბაქტერიები, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობას ხელს უწყობენ მით, რომ სხვა და სხვა მანებელ ბაქტერიებს ხოცავენ. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთი წვეთია იმ დიდ მნიშვნელობასთან შედარებით, რომელიც აქვთ ბაქტერიებს მსოფლიო ეკონომიაში. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაქტერიები რომ არ იყონ, ჩვენ დედა მიწაზე სიცოცხლე დიდხნის მოსპობილი იქნება. მკითხველს ეს აზრი იქნება პარადოქსალური ეჩვენოს, მაგრამ ვეცთებით, დავამტკიცოთ. შეიძლება ჩვენი დედამიწა მთელს სამყაროსთან შედარებით ერთ პატარა ნამცეცს წარმოადგენს, მაგრამ კერძოთ აღებული თავის თავათ ის დიდი პლანეტა არის; მხოლოდ მისი ნივთიერება დაუსრულებელ, განუსაზღვრელ მასას არ წარმოადგენს, არამედ განსაზღვრულსა და გონებით მისაწვდენს: ასტრონომიის ყოველ სახელმძღვანელოში შეგიძლიათ წაიკითხოთ, რა სიმძიმე აქვს ჩვენს დედამიწას. ბუნების მეტყველებამ დაგვიმტკიცა, რომ ყოველგვარი ორგანიული არსება, მცენარე იქნება ის თუ ცხოველი, თავის ტანისათვის მასალას იღებს დედამიწიდან, ე. ი. ყოველი ცხოველის და მცენარის ტანი მხოლოდ ქიმიურ შეზავებას წარმოადგენს იმ ელემენტებისა და ნივთიერებისას, რომელთაგანაც ჩვენი დედამიწა და ჰაერი შედგება. რადგან ეს ნივთიერება განსაზღვრული რაოდენობის არის, ამიტომ ორგანიული არსებების რიცხვიც, რომლებიც მიწიდან იღებენ თავის სხეულის მასალას, ექვს გარეშე განსაზღვრული უნდა იყოს; მაგალითათ, — ერთი ხე განსაზღვრული ნივთიერებაა; ამ ერთი ხიდან შეგიძლიათ, გააკეთოთ, მხოლოდ განსაზღვრული რიცხვი სკამების — ათი, ოცი, ოცდაათი ან მეტი — და არა განუსაზღვრელი, ჩვენ ვიცით, რომ დედამიწის ზურგზე სიცოცხლე (საზოგადოთ ორგანიული და არა მარტო ცხოველის და ადამიანის) რამოდენიმე მილიონი წელიწადი მაინც არსებობს. პირველ პერიოდებში დედამიწის ხმელეთი თითქმის მთლათ უსიერი მთებით იყო დაფარული; ამდენი ხნის ორგანიული ცხოვრება დედამიწაში ან მთლათ გამოლევდა ცხოველის ან მცენარის ტანისათვის საჭირო მასალას, ან ამდენი ხნის განმავლობაში დახოცილი ცხოველები და მცენარენი რამოდენიმე ასი საყენის სიმალღვზე დაფარავდენ დედამიწის კანს; ორსავე შემთხვევაში სიცოცხლე უსათუოთ უნდა მოსპობილიყო: პირველ შემთხვევაში იმიტომ,

რომ დედამიწაში ორგანიული არსების ასაშენებელი მასალა აღარ იქნებოდა; მეორე შემთხვევაში იმიტომ, რომ ეს მასალა დამარხული იქნებოდა დახოცილ მცენარეთა და ცხოველთა მეტათ სქელი გარსის ქვეშ, ნორჩი ორგანიული არსება მითი ვეღარ ისარგებლებდა, ასეთი სქელი გარსის ქვეშ კი სიცოცხლე ვერ იზოგინებდა. მაგრამ სიცოცხლე კი არ ისპობა, შეუჩერებლათ მიდის წინ და, ჩვენი დედამიწის ცხოვრება დაუსრულებელიც რომ იყოს, ორგანიული ცხოვრებისათვის საჭირო მასალა მასში ყოველთვის გამოუღვევლათ იქნება. რა არის ამის მიზეზი? აი რა. ავიღოთ მაგალითათ მდინარე; მას წყალს აძლევს ერთი მხრით წვიმა, მეორე მხრით თოვლი. წარმოიდგინე მკითხველო, რომ მიწიდან მაღლა ასული ორთქლი აღარ იქცა წვიმათ და თოვლი აღარ დადნა: რამდენიმე ხნის განმავლობაში ყველა მდინარეები დაიწრითებიან. ამ გვარათ თუ ნამდვილათ მდინარე არ იწრითება, ამის მიზეზია ის, რომ ორთქლათ და თოვლათ გადაქცეული წყალი ისევ წყალათ იქცევა და ასეთი ბრუნვის გამო მდინარეს ყოველთვის ეძლევა იმდენი წყალი, რომ შეუწყვეტლათ იდინოს ორგანიულ ბუნებაშიც ასეთივე ბრუნვა არსებობს მასალის როდესაც რაიმე ცხოველი ან მცენარე კვდება, მიესევინა მიკროსკოპიული სოკოები და ბაქტერიები და იწვევენ მასში დუღილს, ხრწნას და ლპობას. მიკრობების ასეთი მოქმედებისა გამო, ორგანიული არსების სხეული შემადგენელ ნაწილებით იშლება, მასში თავმოყრილი ნივთიერება ისევ დედამიწასა და ჰაერს უბრუნდება; ამ დაბრუნებული მასალიდან ბუნება ისევ სიცოცხლეს აძლევს. ამ გვარათ ბუნება მასალის ერთს ნამცევსაც კი არა ჰკარგავს, იბადება ბავში, ამოყოფს მიწიდან თავს ხის ნერგი, ორივეს მასალას აძლევს დედამიწა ტანის ასაზრდელათ; მაგრამ ამ მასალას ის ღროებით აძლევს მხოლოთ: მოკვდება ადამიანი, მოკვდება ხე, მათი ტანი მიკრობების მოქმედებით დაიშლება, მასალა თავისუფლდება და ისევ მიწას უბრუნდება, რომ მან ხელახლათ ჩაბეროს სული ამ მასალას, ახალი სიცოცხლე ააღორძინოს. ასეთი ბრუნვის წყალობით დედამიწაში მასალა არ იღვევა, გასესხებული რამდენიმე ხანს შემდეგ მას ისევ უკან უბრუნდება და იმის გამო სიცოცხლევ შეუწყვეტლათ ღვევის ჩვენი დედამიწის ზურგზედ. აქედან ცხადია ისიც, რომ ერთი და იგივე მასალა შეუწყვეტელ მეტამორფოზშია, სხვა და სხვა სახით ცხოვრობს: ის მასალა, რომლისაგანაც დღეს რომელიმე პეტრეს ორგანიზმია აშენებული, პეტრეს სიკვდილის შემდეგ შეიძლება ხეთ იქცეს, რომელიმე პირუტყვის ტანს მიემატოს და სხვა და სხვ.:—ყოველმა ჩვენგანმა კარგათ უწყის, რომ ის მასალა, რომლისაგანაც ჩვენ შევსდგებით ზოგი ბალახიდან არის მოპოებული, ზოგი ქათმიდან, ზოგი ხიდან და სხვ. ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ქონათ მიკრობებს ბუნების ეკონომიაში, მოსპეთ მიკრობები, მოისპობა დუღილი, ხრწნა, ლპობა და მაშინ ყოველი მკვდარი ორგანიული არსება უმაქნისოთ დაიკარგება, მისს მასალას ბუნება მეორეთ ვეღარ გამოიყენებს, ამის გამო, როგორც უკვე ზევით ვთქვით, ადრე თუ გვიან ან სრულებით გამოიღვევა ორგანიული ცხოვრებისათვის მასალა ჩვენს დედამიწაზე, ან დახოცილი ცხოველები და მცენარენი დედამიწის გარშემო ასეთ სქელ კანს გააკეთებენ, რომ შუაგულში მომწყვდრული დედამიწის მასალით ვეღარავითარი არსება ვეღარ ისარგებლებს და სიცოცხლე ორსავე შემთხვევაში აუცილებლათ მოისპობა.

ღიან, მკითხველო, ბევრი საიდუმლოება გამოარკვია ადამიანმა ბუნებაში, მაგრამ უფრო მეტი გამოურკვეველია. და, რამდენათაც უფრო მეტს ირკვევს და იგნებს ადამიანი, იმდენი უფრო და უფრო მეტი ჩნდება ახალ ახალი საიდუმლოება. დადგება ოდესმე ისეთი დრო, როდესაც ცას ქვეშ მაინც

აღარათფერი დარჩება გაუგებარი ადამიანს? იმედი კარგი საქონელია, მაგრამ ამის დაჯერება კი ძნელია. რაც უნდა იყოს, ეს ისეთ შორეულ მომავალს ეკუთვნის, რომლის ჩვენნი ძვლების ნამცეცებიც კი აღარსათ იქნება, და ამგვარი სქელი საიდუმლოება საფლავშივე უნდა ჩავიტანოთ სამარადისოთ. ამბობენ სულისათვის საიდუმლოება არ არსებობს, მისთვის დაფარული არათფერიაო. შეიძლება, მაგრამ ვაი თუ არც საიდუმლოებისათვის არსებობდეს სული! მაშინ, მკითხველო—მაგრამ კმარა.

ა. გ—ლი.

ქურნალ-გასეთებიდან.

ჩვენ ხალხს ჯერ კიდევ ღრმათა რწმანს, რომ სულით ავათ-მყოფობის წინააღმდეგ საუკეთესო წამალი ხატის მოლოცვაა, და როგორც კი დაავათმყოფდება ვინმე, ძირის ხატის მოსალოცავათ წაიყვანენ ხოლმე. ალბათ ეს თქმულება ქონდა სახეში ბ. ნინია გარეჯელს ან მის დაახლოვებულ პირთ, როცა ის გარეჯისა და სხვა მონასტრების დასარებათ გაამგზავრეს. სამწუხაროთ ჩვენივე ხალხის მეორე შეხედულება კი დავწყინათ; ეს შეხედულება კი იმაში მდგომარეობს, რომ თუ კაცი მეტათ ცოდვილია, ის ძირის ხატს არც კი უნდა გაეკაროს, თორემ კიდევ უარესი მოუვაო. და აი სწორეთ ასე მოუვიდა ჩვენ ნინიასაც. მისი ავათმყოფობა ხომ განდიდების მანია იყო, ეს აშკარათ ემჩნევოდა პირველი წერილებიდანვე, მაგრამ ახლა ნამეტანი მოსვლია და, ასე გასინჯეთ, აკაკისაც კი ედავება მოღვაწეობის ხარისხში. მოდი და ნუ გავცინებათ, როცა მის დაბნეულ ფელეტონს კითხულობთ (ივ. № 157), საცა ის აკაკის მეორე რაზრიადის „თერგდალეულების“ სიაში ათავსებს, თვითონ კი (მგონი მარტო თვითონ!) პირველ რაზრიადში ეწერება. ღიან, სასაცილოა სწორეთ, როცა ნინია აკაკის ბაკაკიათ ნათლავს და თვითონ კი დავით აღმაშენებელისა და გორგასლანის ტოლათ მოაქვს თავი! მაგრამ რა გაეწყობა—ყველაფერი ხატის ბრალია!.. ხოლო რა ძნელი ყოფილა ეს ხატის რისხვა, ამას მსურველი ადვილათ დაინახავს, თუ მისი მოხსენებული ფელეტონის წაკითხვას არ დაიხერებს,

სახუმარო გასართობი.

დღემდინ ჩვენი დღიური გასეთებიდან მათი მსჯელობის მაგალითებს ვაწვდიდით ჩვენ მკითხველებს, დღეს კი მათი გონება მახვილობის მაგალითიც გვინდა ვაჩვენოთ და აქვე მოგვეყვას ამის ნიმუშები.

საკვირაო № 1873-ში „ტრების ფურცლის“ სიტყვამ „იხსუნჯა“ „იუერიაზე“:

„შემდეგი ამბავი თუმცა სოფელიდან არ არის, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის, განსაკუთრებით ქართლ-კახეთის სოფლებისათვის. „იუერიის“ ზირველ გვერდზე დასტკდილია მსხვილი ასოებით შემდეგი განცხადება: „ყოფლათ კარგი, უებარი და ყოველ ქართველისათვის ძლიერ საჭირო წამალი:

ანტი-სომენი

წამალი იუიდება „ზარაშოკებათ“, თითო „ზარაშოკი“ ღირს 10 კაზ. თუ ვისმეს მისვენებას არ გაძლევთ სომენები და გინდათ მათი მოშორება, დახვავთ მათხნიეთ ახლო-მასლო ეს „ზარაშოკი“ და დაუფრებელივ გაწელებიან იმ ადგილის სომენები. „ზარაშოკი“ მოწონებულა და სხველ-გაკეთებული ჭკუიან კაცებისაგან, როგორც ნამდვილი სწავლება. „ანტი-სომენი“ ძლიან გამოადგება ჩვენს ქართლ-კახელ გლეხებს, რომელთაც ასე უმოწყალოთ სჩაგრავენ სომხის მეკანსეები და ჩარხები. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ „იუერიის“ რედაქციას. საჭიროა მარჯვე აგენტები. (რ. 100—1)“.

ამის შესახათ „იუერიაში“ შემდეგი სტრიქონები უძღვნა ნორჩ „ფურცელს“:

„ცნობის ფურცლის“ 1873 ნომერში გამოცხადებულია დიდად შესანიშნავი ახალი ამბავი, ვითამ ჩვენს რედაქციაში ისეიღებოდა ეს ახალი მოგონილი ხარშოკი, სახელათ „ანტი-სომეხი“.

„ამ ხარშოკს თურმე ისეთი ძალა აქვს, რომ საცა ერთი ბუწის მთაურით, იქ სომეხები ისე სწრაფათ იუღიტებიან, როგორც სხარსეთის ხარშოკისაგან ბაღლინჯოები.“

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია, რომელიც ადებ-მიცემობაში სახელ-განთქმულია, აღტაცებაში მოსულა და „ივერიის“ რედაქციას მიმართავს, თქვენს ხომ არ იფიქრებთ ეს ფრად საჭირო ხარშოკი; ამასთან რედაქცია გვაცნობებს, რომ სტამბოლის ხვანთქარისაგან ამ ხარშოკების „ფოდრათი“ აუღიათ და ამ ფოდრათის შემწეობით „ცნ. ფ.“ რედაქცია ისეთს დიდ მოგებას მოკლავს, რომ ენკენისთვეში-როდესაც ქართველ გამოცემელებს ამხანაგობა შეიკრიბება, რედაქცია მოვალეებს საფსებით გაუსწორდება.

„რა თქმა უნდა, ჩვენ დიდად მხარსუდნი ვართ, რომ ქართველებმა ისეთი ადებ-მიცემის შნაც გამოიჩინეს, რომ სტამბოლშიაც კი „ფოდრათები“ აიღეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ ხარშოკების მოგონება ჩვენთვის ბირველი გაცნობაა.“

„თუ ღმერთმა ბრძანა და „ცნობის ფურცლის“ ახალი ამბავი გამართლდა, უმორჩილესათ ვთხოვთ „ცნ. ფ.“ რედაქციას, ორიოდე ხარშოკი „ფოდრათს“ გადაარჩინოს და ჩვენ გამოგვიგზავნოს, რადგანაც ეს ხარშოკი, როგორც „ცნ. ფ.“ აცხადებს, არამც მარტო სომეხებზე მოქმედებს, თურმე ერთი მისხალი საფოფია რომ ერთიანათ ამოფიქრებს ის ქართველები, რომლებიც ტუფილათ აზგაბერობას ჩემობენ“.

სწორეთ ასეთ ოხუნჯობაზე უთქვამს ჩვენს ხალხს, ფერი ფერსა-მადლი ღმერთსაო. სხვა კომენტარები კი მეტათ მიგვანხია, რადგან ეოველივე ეს სიცხე დანაკრავთა ბოღვას უფრო გავს, და ორივესთვის უებარი წამალი იქნება ციფი ღუში...“

წერილი რედაქციის მიმართ.

ქ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ ადვადგინო ის სიმართლე, რომელსაც, არ ვიცი როგორ ან ვისა წყალობით, ძლიერ დასცილებია თქვენი გაზეთის „შინაურ მიმოხილველი“ № 30, ხადაც იგი ეხება ჭიათურის საკვირაო შოკლას. შოკლა დაუარსებიათ, ბირობა მოუციათ ერთი ერთმანეთისთვის და, ესლა კი „თითქმის სულ არც ერთი ზემოხსენებულ ქალაქზე ხელის მომწერი დღეს შოკლას უურს აღარ უგდებს“ო. ამბოს ავტორი, როდესაც შოკლასში რვა კაცი მუდამ დავიარებით და სწავლაც კარგათ მიდის ჭურ-ჭურებით ჭიათურის ბირობების დავვართ. კარდა ამისა, რომ ამ რვა კაცში თქვენი უმორჩილესი მონა ამ სტრიქონების დამწერი კვირათობით 12—8 საათადვე მუდამ იქ კახლავართ; როგორც საჯახო ნაწილის გამგე და ბიბლიოთეკარი უბრალო დღეებშიაც ბუერ დროს ვწირავ შოკლას ბირდათ მე. რა ვქნათ, რომ ზოგიერთმა ჩვენგანმა, ორმა-სამმა ადამიანმა, ვერ შესრულეს თავიანთი დანახირები ეს მათ გარემოებაში იოლი საქმე, სამაგიეროთ დანახირები ამ გაცხანის სიცხეშიაც კი გულმოდგინეობას იჩენენ, როდესაც ეველას შოკლები დახურულია და მოწაფეები მასწავლებლებიანათ სრულს განცხრომას მიეცემიან.

რაიცა შეეხება იმას, რომ შოკლა იდეალურათ ვერ არის დაუენებელი ამის შესახებ მკითხველებს უნდა მოვხსნისოთ, რომ ორი ბვენგან დამოუკიდებელი გარემოება ძლიერ უშლის ხელს შოკლის სასურველ ნიადაგზე დაუენებას. ბირველი—შენობის უქონლობა და მეორეთ მოწაფეების მიერ გავკეთილების გამოტოვება. ბირველის მიხეზია ის რომ ჭიათურაში არ არის არც ერთი დაბალი ან საშალო სასწავლებელი, რომლის შენობაშიაც მოგვეთავსებია საკვირათ შოკლა, როგორც ქალაქშია. მეორის—შეგირდების დროს უქონლობა; რადგან შოკლასში თითქმის ეველას მუშებია, რომლებსაც ვირათობით ანგარიშს უსწორებენ კანტონებში.

თვით ზედაგოგიურთ ჭეშმარიტებაც კი დავარდვიეთ, დავმინნეთ რა მეცადინეობა შოკლასში ნაშადადვეის 2 საათად-ნაშადად, მაგრამ კიდევ ვერაფერი უშველას საქმეს. ამ ორ მიხეზის ორთავეს იმეღია მოსზობის შავი ქვის მწარმოებელთა საბჭო: ბირველს ამითი, რომ მეოთხე მორიგ კრებაზე მეტ ფულს გადადებს ამ საქმისათვის, რათა შენობები დაუქირათ და მეორეს—მით, რომ აღძრულ შუამდგოლობის გადაწვეტას მთავრობის წინაშე კვირას დღეობით ანგარიშის გასწორების მოსზობისას დაახჩარებს. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ აქ შოკლასში შეგირდებს მისვლის მეტი არა ჭირდებათ-რა: ეველათური, სასწავლო ნივთები და სახელმძღვანელოები მუქათთ ეძლევათ, როგორც შოკლასში ისე სასლში საკითხავათაც, რადგანაც შავი ქვის მწარმოებელთა საბჭომ წელს ამ შოკლისთვის 300 მანეთი გადადო. კარდა ამისა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შოკლასშივე არის ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა, რომლებიც ცოტათ თუ ბევრათ დირს შესანიშნავი არიან და რომლიდანაც შეგირდებს აკრეთვე მუქათთ ეძლევათ წიგნები შინ საკითხავათ, რასაკვირველი ჩვენს ხელმძღვანელობით.

ეველას ეს ფაქტები ცხდათ მოწმობს, რომ ბ. „შინ. მიმოხ.“ ავტორი გაზეთი „გვალის“ მე-№ 30 დიდ შეცდომაში შეუყვანიათ, როდესაც ასე გადაჭრით ბრძანებს: „ადარავინ აღარ დადის და უურს აღარ უგდებსო.“

მასწავლებელთაგანი სილოვან კვიცარიძე.

ქ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ ვთხოვთ, ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს ბ-ტივცემულ გაზეთში.

5 ივლისს ქ. ოზურგეთში ბ. ხუნდაძის აფთიაქში ექიმის რეცეპტი გავგზავნე წამლის დასაკვეთათ. რეცეპტის მიმტანს უთხრეს, ერთი საათის შემდეგ მოდიო. დანიშნულ დროზე წავიდა კაცი წამლის მოსატანათ. ავთიმოფთი, რომლისათვისაც საჭირო იყო ის წამალი, მე უნდა წამეუყვანა სასლში ს. ბახში მიმავალ ეტლით, რომელიც ჩვეულებრივ ნაშადადვეის 3 საათზე გადის ოზურგეთიდან. ეტლის ბილეთები ნაყიდი მქონდა და სრულად დარწმუნებული ვიყავი, წამლისაც დროზე მივიღებდი, რადგან აფთიაქში რეცეპტი ორი საათით აღრე გავგზავნე, მაგრამ იმედი არ გამომართლდა. წამლისთვის წასულმა კაცმა ერთი საათი დაიგვიანა და, რადგან ეტლი წასვლას აზირებდა, მეორე კაცი გავგზავნე ამბის გვსაკებათ და შემდეგ მეც წავიდა აფთიაქში. როდესაც იქ წამლის დავგვიანების მიხეზი ვიკითხე, ერთმა მოსამსახურეთაგანმა უკმუნათ და წერამით მომიგო: ჩვენ სადილს გაახლებოდითო. ამ ნაირა, აფთიაქში სადილს შეექცეოდენ და იმის გამო დამზადებული წამალი დროზე არ მიტყეს კაცს, მთელი საათი აღოდინეს. ასეთი წესი ეოფილა თურმე ბ. ხუნდაძის აფთიაქში, მარა მე არ ვიცოდი და კიდევ ამიტომ დავისაჯვრეთ მე და ჩემი ავთიმოფთი.

სილოვან მდინარაძე.

საქველმოქმედო საჩემ.

ქ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშადადებით მადლობა გამოუცხადო იმ ბირათ. რომელთაც კეთილ იხებეს დურთიერთ შორის შეგრთვილი 12 მანეთი გადამტყეს მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველთა სასარგებლოთ. აი სია შემომწირველთა:

- სოლომონ ქარცივაძემ—2 მ., ირაკლი ჭეჭინაძემ—1 მ., გრამიტონ სარჯვალაძემ—1 მ., ოლია თოფურისამ—1 მ., ნესტორ გვასარიაძემ—1 მ., მართა ბოლქვაძემ—1 მ., ზევაგია ბოლქვაძემ—1 მ., ბუჯან ბურეჯიანამ—1 მ., მატრონე კამპსიძემ, ანდრო კალანდაძემ, მიხეილ სალაფიამ, ალექსი მინჯელის ძემ, კოსტანტიდე ბოლქვაძემ და ივანე ვახეშვილმა ათათი შაური, მხოლოთ ამ უკანასკნელისაგან მივიღეთ კიდევ 5 მანეთის წიგნები.

ძიშითის ორკლასიანი სკოლის ზედამხედველ-მასწავლებელი მოსე ა. მეგრელიძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ. წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ფოთის საზოგადოებრივი კარხები.

კ. გიგინეიშვილისა.
 თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ
 ენკენისთვიდან. პირობები და პროგრამები მსურველთა გავგზავ-
 ენბათ უფასოთ.

გიორგი წამბათის დიდი სურათი იყრდება თფილისში წე-
 რა-კითხვის საზოგადოების მალაზიაში, ქუთაისში მ. ლალიძესთან.
 ფასი ერთი აბაზი.

მკიმი ე. ზ. ფოლგოროვი.

იღებს შინაგან და საბავშვო სწეულებით ავანტიურებს სამ-
 შაბათს, ხუთშაბათს, შაბათს 5—7 საათამდე.
 მიხეილის პროსპექტი, № 144.

სასწავლებელი და კანდიდტი.

ა. მამულაიშვილისა.
 ვერა, სლევკოვის ქუჩა, № 13. ზემეილის აფთექის მახ-
 ლობლათ.
 ამხადებს ბავშვებს საშვალო სასწავლებლებისათვის (გი-
 მნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა
 კორპუსი და სხ.). იქვე ამხადებენ მოწაფეებს, რომელთაც
 დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცთა (პერეკვაშენოვი)

თფილისის კერძო საკურნალო

ბედავანიშვილისა

(გუგია, ნიკოლოზის ქ., სახლი სავინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავანტიურებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ :

- ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სწეულებანი, 8—10 საათ.
- კ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით
10—11.
- ი. შ. ახალაშვილი — კბილის სწეულებანი, 11—12.
- კ. მ. ელიაშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.
- ვ. მ. მანსუეტოვი — შინაგანი და ნერვების, და ბავშვების
სამშაბ. და პარასკ. — 1—2.
- ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სწეულებანი, ორშაბათობით,
ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.
- ვ. გრ. სობოლევსკი — ქირურგ. და ორტოპედული, ორშ.
ოთხშ. და პარასკ. 1—3 საათ.
- გ. მ. ამბარცხი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი. 1—2

ს ა ლ ა მ ო თ ი :

- ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სწეულებანი, 5—6.
- მ. გ. იანჩევი — ყურის, ყელის და სხეულის სწეულებანი,
რაობით 12—1.
- ა. გ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმი
ური გამოველენანი 5—6.

კ ვ ი რ ა ბ ი თ :

- ვ. მ. მანსუეტოვი — შინ., ნერვ. და ბავშვ. 9—10.
 - კ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავანტიურ., 10—12.
- სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარი-
გებისა 50 კაპ., ოპერაციები და კრაოტები მორიგებით.

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ
 печати,
 понижена подписная плата
 на

„Новое Обозрѣнiе“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногород-
 ныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ — 7
 р., за полгода — 4 р., 3 мѣс. — 2 р. 50 к., 2 мѣс.
 — 2 р., 1 мѣс. — 1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ
 — 3 к., внѣ Тифлиса — 5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му янва-
 ря — 4 р., къ 1-му iюня — 3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школь-
 ныхъ библиотекъ и благотворительныхъ учреждений
 сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ — 6
 р., для городскихъ — 5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія усло-
 вiя изданiя останутся прежнiя.

Подписка принимается не иначе, какъ считая
 съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принима-
 ется въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинска
 ул., д. № 8.

Редакт. Г. М. Тумановъ, издат. К. М. Тумановъ
 3—3

РУССКОЕ БОГАТСТВО.

Продолжается приемъ подписки на 1902 года.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ достав-
 ки въ Петербургѣ и москвѣ 8 р., за границу 12 р.
 Адресъ: Петербургъ, Баскѣва ул., 9; Москва, Никит-
 кiя ворота д. Гагарина. — При непосредственномъ об-
 ращенiи по этимъ адресамъ допускается разсрочка: при-
 ходнискѣ 5 р. и къ 1-му iюля 4 р. — Книжные магази-
 ны, библиотeki, земскiе склады и потребительныя об-
 щества могутъ удерживать за комиссiю и пересылку
 денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра
 Подписка въ разсрочку отъ нихъ не принимается

Новыя изданiя редакцiи журнала „Русское Богатство“.

Н. Кудринъ. „ОЧЕРКИ СОВРЕМЕННОЙ ФРА-
 НЦIИ“. Ц. 2 р.

П. Булыгинъ. РАЗСКАЗЫ. Ц. 1 р. 50 к.